


# გულ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 იანვარი პარასკევი 2011  
№015 (13312) ფასი 60 თეთრი

## ქეცბაია ნაკრებს უასათიანოდ შეკრებს

სასომხეთო  
შემადგენლობა  
დასახელდა



## ყიფიანი სიყინიანი ნაყინი



გიორგი ყიფიანი

რა ზაფხულს  
ვკარგავთ, **ტეიმურაზ  
გიგლიოთეა**  
და ვნებიანს...

### როდის არის თბილისი ბაზილისი? როცა ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობს



### რავიხვათ თბილად, მსოფლიოს რეპიონაბი იწყება

ფიფა და უეფა  
ფეხბურთს კლიმატს  
უცვლიან

ევროპა ერთიანი საფეხბურთო  
ზონა იქნება: ყველანი  
გაზაფხული-შემოდგომის  
სისტემაზე



# ქართული ფეხბურთი

● **ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი**

## თავი ჩახაიამ სასროხეთი 21 ბაზადა ასათიანი ამჯერად არა, სხვაბი გამოიცდაიან

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქვეციანიმ სომხეთთან 9 თებერვლის კვირისთვის ამხანაგური მატჩისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. ეროვნული გუნდი კუნძულზე 21 ფებრუარულით ჩავა: მსაჯინი: ნუკრი რევიშვილი („ანჟი“, რუსეთი), გიორგი ლორია („დინამო“ თბილისი), მცველები: ვახა კალაძე („ვენიკა“, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („რედინგი“, ინგლისი), ალექსანდრე ამისულაშვილი („კაისერისფორი“, თურქეთი), ლაშა სალუქვაძე („რუბინი“, რუსეთი), აკაკი ხუბუტია („გაზ მეთანი“, რუმინეთი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), ლევან კაკუბავა („დინამო“ თბილისი); ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი („შერტა“, გერმანია), გოგია გოგია („ვოლგა“, რუსეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“ მოსკოვი, რუსეთი), ჯაბა კანკავა („დინამო“, უკრაინა), გიორგი მერეზაშვილი („ვოივოდინა“, სერბეთი), ალექსანდრე გურული („კარპატი“, უკრაინა), დავით კვიციანი („უგრენო“, მურთაზ დაუშვილი („ხესტაფონი“); თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე“, გერმანია), დავით სირაძე („სპარტაკი“ ნალჩიკი, რუსეთი), ლადო დვალიშვილი („მაქაბი“ პაიფა, ისრაელი), მათე ვანაძე („ვოლგა“, რუსეთი). სანაკრებო შემადგენლობაში კვლავ არ არის გელზენკირხენის „შალკეს“ შემტევი ნახევარმცველი ლევან ყენია, რომელიც

მელსაც გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ დაუწყია. ნაკრები არ გამოუძახიათ „ემპოლის“ თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე. იტალიური ვებგვერდების ცნობით, მას ტრავმა აქვს და „ფროსინონესთან“ 15 იანვრის შეხვედრა ამიტომ გამოტოვა. დნეპროპეტროვსკის „დინამოს“ მცველი უჩა ლობჟანიძეც ტრავმის გამო არ არის სიაში. და მთავარი: ქვეციანის ეროვნულში ამჯერად არ გამოუძახია მცველი მალხაზ ასათიანი, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ წასვლის შემდეგ ჯერჯერობით უკლებობდა. რა თქმა უნდა, ნაკრებში ასათიანის გამოუძახებლობის მიზეზით დავინტერესდით და გუნდის თავკაცს დავუკავშირდით: „ასათიანი ჩვენი ნაკრების წევრი და ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა. ამ ეტაპზე ასე ჩავთვალთ საჭიროდ. სომხეთთან ამხანაგური მატჩი და სხვა სეზონის მივცემთ თავის გამოჩენის შესაძლებლობას“, - ვითხრა ქვეციანი, რომელმაც ეროვნულში მეორედ გამოიძახა მცველი აკაკი ხუბუტია და შემტევი ნახევარმცველი სანდრო გურული, რომელთაც 17 ნოემბრის სლოვენისთან ამხანაგურ მატჩში სანაკრებო დებიუტი ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ მამის, ვიკა გურულის



მალხაზ ასათიანი

მსგავსად ეროვნულში სადებიუტო მატჩში სანდრომაც გამოიჩინა თავი. ქართულ კლუბებში მოსაპარეზე ნაკრების წევრები მწვრთნელთან ერთად კვირის 6 თებერვალს გაემგზავრებიან, გუნდი კი სრულად მომდევნო დღეს შეიკრიბება. საქართველო-სომხეთის ამხანაგური მატჩი 9 თებერვალს ქალაქ ლიმასოლში, ცენტრალურ სტადიონ „ცირიოზე“ თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

### ● **ლეგიონერი**

## კვირკველიას პანიონიოსამდე ვიზა აფერხებს რა მოხდა ნაკრებში? რწმენა დაგვიბრუნდა

შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელი ხარ თუ სხვა პროფესიის ადამიანი. წესი ყველასთვის წესია და ყველას საკითხს დეტალურად განიხილავენ. ერთ დღეში კი ვიზა არ კეთდება, მაგრამ იმდენი საბუთის შეგროვება მომთხოვეს, რამდენიმე დღე მჭირდება. ალბათ, ორშაბათამდე ყველაფერი მოგვარდება და ვიზას ავიღებ.

- „პანიონიოსი“ შენით როდის დაინტერესდა?  
- ეს არც ვიცი და არც მიკითხავს, მთავარია, რომ დაინტერესდნენ. დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემი მინვევა სურდათ.

- კონტრაქტის გასაფორმებლად მიიღებ თუ გასინჯვას გადავხვებით?  
- კონტრაქტზე ლაპარაკი, აბა, 30 წლის კაცი გასასინჯავდ წავალ?  
- რამდენწლიანი ხელშეკრულებას გადავხვებით?  
- ამაზე საბერძნეთში უნდა დავილაპარაკოთ. ჯერ ესეც არ ვიცი.

- „რუბინში“ „ანჟიდან“ რატომ დაგაბრუნეს, თუ არ გათამაშებდნენ?  
- მავათ რას გაუგებ? „ანჟი“ ზაფხულამდე მინათხოვრა და წლის ბოლომდე სურდათ ჩემი დატოვება. ეს მეც მინდოდა, რადგან „ანჟიში“ მათამაშებდნენ და ჩემთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ყაზანელები ხან რა თანხას ასახელებდნენ, ხან რას და, საბოლოოდ, კლუბები იჯარის საფასურზე ვერ შეთანხმდნენ. მეც ყაზანში დაბრუნება მომიხდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ „რუბინთან“ კონტ-

რაქტი წლის ბოლომდე მქონდა და ეს ნახევარი წელი სკამზე ჯდომა არ მსურდა.

- ანუ ახლა თავისუფალი აგენტი გახდით?  
- დიახ, თავისუფალი აგენტი ვარ და ეს დიდი შედეგია.

- საერთოდ, „რუბინს“ რა ინტერესი მქონდა, თუ არ სჭირდებოდა და არ გათამაშებდა?  
- რა ვითხრა. ეტყობა, რაც მენერა, ისეც მოხდა და წარსულს ვეღარ შევცვლი.

- ფაქტი, რომ მომხდარა ნაკრებშიც ხელი შეგიშალა.  
- ეს ყველაზე საწყენია, კლუბში უთამაშებლად ფორმის შენარჩუნება ძნელი იყო და ხელი მართლაც მემლეოდა.

- თუმცა თემურ ქვეციანი მაინც გინვევდა. მან ნაკრები აშკარად შეცვალა, მაგრამ რამ შეცვალა თავად ფეხბურთელების დამოკიდებულება?  
- რამ და, საკუთარი ძაღვებისა და ჩვენი შესაძლებლობების ვირწმუნეთ. 2010 წელს ჩატარებულ თამაშებში ცხადად გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს წარმატების მიღწევა შეუძლია. მაგრამ გასული წელი და თამაშები უკვე წარსულია, ჩვენ წელულისა უნდა დავამტკიცოთ, რომ შარშან კარგად შემთხვევით არ გვითამაშია და ხალხიც უნდა დავარწმუნოთ, რომ უკეთესი ფეხბურთის ჩვენება შეგვიძლია. მოკლედ, ფეხბურთელებისთვის თუ რამ შეიცვალა, უპირველესად ის, რომ ქვეციანი რწმენა დაგვიბრუნა.

მერაბ მამულაშვილი

### ● **U17. მოსაზრებადებული ქაჯი**

## თავი აპარდნას მოქალაქე აპარდნა ჯობს სხვათა ცხოვრების ტიპსტი და ჩვენი ძვებამსტი: შვიკრიზოთ დალაგებამდე

საქართველოს U17-წლამდელი ნაკრები გუშინ ურეკში გაემგზავრა შეკრებაზე. ამგვარად კობა ყორყიკაშვილის გუნდი 2 თებერვლამდე საფრანგეთში მარტში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის მატჩებისთვის მოემზადება. თუმცა ყორყიკაშვილის აზრით, დალაგებულ ქვეყანაში მსგავსი შეკრებების მოწყობა უადგილო იქნებოდა - თუ რატომ, ამ ინტერვიოდან შეიტყობთ.

- ჯერ ის ვთქვით, ურეკში მოსამზადებლად კარგი პირობებია?  
- რა თქმა უნდა, სხვაგვარად არც ნაივლოდით. დავბინავებთ კომფორტულ სასტუმრო „თბილისში“, სადაც ფეხბურთელებს არ შეაწყენენ. მეორეც, საკმაოდ კარგი მოედნებია სასტუმროს სიახლოვეს და იქ ხარისხიანად ვარჯიში შეიძლება. ცხადია, პირობები წინასწარ ვნახეთ და წავსვლა ამიტომაც გადაწყვიტეთ.

- საკონტროლო შეხვედრები თუ დაგეგმეთ?  
- პირველი და უმაღლესი ლიგების კლუბებს წინასწარ მოველაპარაკეთ და ოთხი თამაში გვექნება, ოზურგეთის „მერცხალთან“, ლანჩხუთის „გურიასთან“, ბათუმის „დინამოსთან“ და, ალბათ, ფოთის „კოლხეთთან“.

- შეკრებაზე ყველა სასურველი ფეხბურთელი მიგყავთ?  
- სულ ოცდაოთხი იქნებიან, მათგან სამი მეკარეა. ეს ბიჭები შეადგენენ ნაკრების ბირთვის და ვინც თავს უკეთ გამოავლენს, ელიტრაუნდში მას დავეყრდნობით. ახლა მხოლოდ ბაჩანა არაბული და ლუკა ჭუფუნავალი გვკავიან.

- არაბულის ამბავი ცნობილია, კიევის „დინამო 2“-ში ვარჯიშობს, ჰუფნავლის მდგომარეობაზე რა იცით?  
- ლუკას რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე. თავს კარგად გრძობს, ტრავმა საბოლოოდ მოიწინა და მიუნხენის „ბაიერის“ ასაკობრივ გუნდში ჩვეულებრივი დატვირთვით ვარჯიშობს. ორიოდ დღის წინ გერმანიის 19-წლამდელი ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა.

- შეკრებაზე რა მიზანს ისახავთ?  
- მზადება ჯერ კიდევ 3 იანვარს დავიწყეთ და ეს ეტაპი ურეკის შეკრების შემდეგ დასრულდება. ახლა ბიჭებს ფიზიკურად ვამზადებთ, საფრანგეთში გასამართი მატჩებისთვის გამძლეობის, სისწრაფის და სხვა კომპონენტებისთვის საფუძველი რომ ჩავეყაროთ.

- საერთოდ, მსგავსი სახის შეკრებას ევროპაში აწყობენ?  
- ქვეტექსტი მესმის და ვეთანხმებით, არ აწყობენ, მაგრამ ბავშვების მოსამზადებლად ნდნან კვირამდელი აუცილებელია. წესით, ისინი კლუბებში უნდა ემზადებოდნენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართული კლუბების უმეტესობას არ უღიზნება ფეხბურთელების მოსამზადებლად საჭირო პირობები არ გააჩნიათ. ამიტომაც, ბავშვებს შეკრება რომ მოუწყვეთ. ამ შეკრებით მარტის თამაშებისთვის უკეთ მოემზადებიან. სხვაგვარად ელიტრაუნდში ღირსეული გამოსვლა ვაგეგმავდით. აბა, კლუბებს რომ არ უჭირდეთ, ბიჭებს კლუბებიდან არც წამოვიყვანდით, როგორც, მაგალითად, ჰუფნავლის. რატომ უნდა წამოვიყვანოთ ეს ბიჭი „ბაიერინთან“, როდესაც მოუნებში საუცხოო პირობებში ვარჯიშობს? დალხენილები რომ ვიყოთ, ნაკრები მაქსიმუმ ერთ კვირას შეკრებას გაივლიდა და ტურნირებში ვითამაშებდით.

- ურეკის შემდეგ რა ხნით შეისვენებთ?  
- თბილისში 2 თებერვალს დავბრუნდებით და ფეხბურთელები კლუბებს მიამშურებენ, თუმცა მცირე ხნით. დაახლოებით 16 ან 17 თებერვალს თბილისში შეიკრიბებით და მარტში ვემგზავრებით, სადაც 21 და 25 თებერვალს ესპანეთის 17-წლამდელი ნაკრებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას ვაგეგმავთ.

- ესპანეთი, ჩვენი არ იყოს, ელიტრაუნდის მონაწილეა, მაგრამ მას სპარინ-

გისთვის მონაწილედგის შერჩევა არ გაუჭირდება - თამაშებზე როგორ დაითანხმეთ?  
- საქონდ რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. ჯერ ის, რაც თქვენ ბრძანეთ, ელიტრაუნდის მონაწილეა და სპარინგი სჭირდება. მეორე ის, რომ სხვადასხვა ჯგუფში მოხვედით და შეხვედრა პრობლემა არ არის. მესამე - ჩვენ ძლიერი ჯგუფიდან ვაგეგმეთ და მიიჩნევენ, რომ ძლიერი ნაკრები გვყავს, რომელთან თამაში წინადადებაა. რა თქმა უნდა, პირადად კონტაქტებშიც ვაჭრა. ესპანეთის 17-წლამდელი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ხინეს მენუელენდეს მეც კარგად ვიცნობ, გაიხი დარსაქცე და ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლებიც. ის თბილისში „ა“ კატეგორიის სამწვრთნელო ლიგის მატჩებისას ლექციების წასაკითხადაც იყო ჩამოსული, უფეს მწვრთნელია, ქართულ ფეხბურთის კარგად იცნობს და აფასებს. ხანგრძლივი ლაპარაკი არც დავგვირგვინა, უმალ დავეთანხმებო.

- სამწუხაროდ, ჩვენს ბავშვებს მცირედ ნარმატებაც კი თავში უფარდება. თქვით, რომ ნაკრები 3 იანვრიდან ევზადება და მსგავსი რამ შესაჩერებელია მატჩების შემდეგ თქვენს ხელქვეითებსაც ხომ არ დაემართათ.  
- საბედნიეროდ, ასეთი რამ არ შემინიშნავს, რაც ძალიან მახარებს. ცხადია, ამაზეც ვფიქრობდით. მხოლოდ შევედით თან მოგების საღამოს მივეცით თავს უფლება, გვემხიარულა და წარმატება აღვეცნიშნა, მეორე დღიდან კი ახალი ეტაპისთვის მზადება დავიწყეთ და ეს ბიჭებს ვარკვევით ვუთხარი, წარსულით ცხოვრება არავის წაადგა და ჩვენც არას ვგარეგებს-მეთქი. მიხარია, რომ ბიჭებს ეს ისედაც კარგად ესმით. პირიქით, ახლა უფრო უნდა გამოვავლინო საკუთარი შესაძლებლობები, რადგან საფრანგეთში მეტი სელექციონერი დავგავკვირდება და წინსვლის პერსპექტივა ექნებათ.

- საერთოდ, თამაშზე რა შეგიძლიათ ვითხროთ?  
- ჩვეულებრივი ქართული თამაშაა, არც ცუდი და არც გადასარევი. მართალია, ჩვენ გიორგი ჭანტურასი დარჩი ფეხბურთელი არ გვყავს, მაგრამ ბევრი ბიჭია, შრომით დიდ ფეხბურთს რომ ითამაშებს. მაგალითად, ბაჩო არაბული და კიდევ არაერთი სხვაც. მთავარია, ბიჭები სწორად განვითარდნენ და მეტის და მეტის მიღწევა დაისახონ მიზნად.

მერაბ მამულაშვილი



დავით კვიციანი კარიერას ბერძნულ „პანიონიოსში“ გააგრძელებს. საკითხი შეთანხმებულია და დათო საბერძნეთში მალე გაემგზავრება, თუ საქართველოს ნაკრებში და ყაზანის „რუბინის“ ფეხბურთელს საბერძნეთის ვიზას დროულად მისცემენ. შეგახსენებთ, კვიციანია 2010 წელს „რუბინიდან“ მახაჩყალის „ანჟიში“ გაანათხოვრეს, ზაფხულში კი დააბრუნეს და ერთხელაც არ ათამაშეს. ახალი კლუბის ძიება კი 30 წლის ფეხბურთელს დიდხანს არ დასჭირვებია.

- „პანიონიოსში“ გადასვლა გადწყვეტილია?  
- გადწყვეტილი კი არის, მაგრამ როდის წავალ, წარმოადგენა არ მაქვს.

- რა გაფერხებს?  
- ვიზას ველოდები და ჯერ ვერ მივდივარ. იმედია, პრობლემა მალე მოგვარდება.

- ევროკავშირში გამგზავრებისას საიზო პრობლემა ფეხბურთელებსაც გექმნება?  
- არა მგონია, შემაფერხონ, მაგრამ ევროკავშირში შესასვლელად გარკვეული პროცედურებია გასაყვლი და ამ

**დაფუძნებული და გამოცემული  
შპს გამომცემლობა ლალი**

გამომცემი ყოველდღე,  
ბარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: ვიკი თვალაბიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბახილაძე (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

**პალიტრა მილიონ ცხელი ხელი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lel@palitra.ge**

მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთავარი რედაქტორი); ფაქსი: +995 32 38 08 63; ელფოსტა: lel@palitra.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან მუშაობისთვის გასული კომპიუტერული მასალებისა და ფოტოების სხვა გაქვითვა ელექტრონულ საშუალებაში გამომცემლობა აპარატურის

ქრონოლოგიური საზღვარი

ტორპედო ინტერვიუ სპასტი მოდელთან

ინტერვიუ

# დინამო და დილა: კვილიშვილი და ახალი

ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისათვის მზადებას „დინამო“ თბილისში აგრძელებს. კახა კახარავას გუნდმა გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩატარა. რა თქმა უნდა, მოსამზადებელ ეტაპზე ამა თუ იმ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს; მაგრამ „დინამოს“ ქომაგებისათვის მაინც სასიამოვნო უნდა იყოს თავიანთი საყვარელი გუნდის წარმატებული ასპარეზობა; შეგახსენებთ, რომ გუშინდლამდე „დინამოს“ სამი საკონტროლო მატჩი ჰქონდა მოგებული და „ტრადიცია“ არც ახლა დაირღვა; ოღონდ, თუ წინა სამივე მატჩში კახა კახარავას გუნდმა მეტოქეები დიდი ანგარიშით დაამარცხა, ამჯერად მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გუშინდელი მონიშნულ დღეების დამსახურებაც არის (უმალესს ლიგაში დასაბრუნებლად „შემზადებულ“ გორის „დილას“ ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია) და უმნიშვნელო არც ის ფაქტი იყო, „დინამო“ კვლავაც რომ აგრძელებს სელექციის პროცესს. ახლაც, გორის „დილასთან“ მატჩში „დინამოს“ შემადგენლობაში რამდენიმე ახალწვეული ვიხილეთ, თუმცა ყველა მათგანზე ერთნაირი შთაბეჭდილება ნამდვილად არ შეგექმნია და ყოველივე ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი გუშინდელ საკონტროლო მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს გავაცნობთ.



ლევან კაკუბავა

ირაკლი ბერიაა კი — მარცხენა გარემარბად. საყრდენ ნახევარმცველთა „დუეტი“ კი გამოცდილმა ედნისონმა და ახალგაზრდა ნიკა კვეციკელია შეადგინეს და მათი დიდი დამსახურებაც იყო, მეორე ტაიმში „დინამო“ ბევრს „დალაგებულ“ ფეხბურთს რომ უჩვენებდა: ცვლილებები იყო სტუმართა გუნდშიც და ყველაზე საინტერესო მაინც ბექა შეყრილაძის გამოჩენა გახლდათ, ვინც „დილაში“... „დინამოდან“ გადავიდა. ერთ ეპიზოდში შეყრილაძე უძლეური იყო საკუთარი გუნდი გადაერჩინა, მაგრამ „დილა“ ამკარა გოლს გივი ქარქუაშვილმა გადაარჩინა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. ეს სახიფათო მომენტი კი შეტევაში ჩართულმა მარკო მაროვიჩმა შექმნა და საერთოდაც, სერბ მარცხენა მცველს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ისე როგორც მის თანამემამულე ვლადიმირ ვუკაილოვიჩს, რომელმაც ლევან კაკუბავასთან ეფექტური და რამდენიმეწლიანი კომბინაცია გაითამაშა, საბოლოოდ „დინამოს“ მარჯვენა მცველის ზუსტი დარტყმით რომ დამთავრდა. მატჩის ბოლომდე ორივე გუნდს მეტ-ნაკლებად შეეძლო ანგარიშის შეცვლა, დიმიტრი ტატანაშვილიც ერთობ მონდომებული იყო ახალი გუნდის მისურვით მორიგი გოლი რომ გაეტანა, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ეტაპის დაწყებამდე „დინამო“ მზადებას თურქეთში გააგრძელებს, მაგრამ მანამდე გუნდს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი — ხვალ „გაგრას“ დაუპირისპირდება. და კიდევ ერთი სიახლე „დინამოდან“: როგორც იცით, ფაქტობრივად, გადამწყვეტი იყო გუნდში გიორგი ფოფხაძის ჩარიცხვა; დანიური „ვიბორგის“ ყოფილმა მცველმა სტუ-სა და „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ ორი საკონტროლო მატჩიც ჩატარა, მაგრამ დიდი ალბათობით, „დინამოს“ ნაცვლად, ფოფხაძე კარიერას რუსულ პრემიერლიგაში, კერძოდ „კრასნა-სოცტოვში“ გააგრძელებს.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა „დილაზე“ გვინდა ვთქვათ, მით უფრო, რომ გორში სერიოზულად ფიქრობენ ამ დიდი ტრადიციების მქონე გუნდის აღორძინებაზე. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის რევაზ ხაჭაპურიძის (ვისაც ასევე „დილას“ ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ბალაშვილი ეხმარება) შეგორდები პირველი ლიგის გათამაშების ერთი ლიდერები არიან და გადამწყვეტი ეტაპისათვის სერიოზულად ემზადებიან. როგორც „დილას“ გუნდის უფროსმა დონა ლომიძემ გვითხრა, გუნდი დღეიდან შეკრებაზე ბორჯომში მიემგზავრება, მზადების შემდეგი ეტაპი კი ამჯერად უკვე ურეკში იქნება. „დილას“ შემადგენლობას თუ გადახედავთ, ბევრ ნაცნობ გვარსაც აღმოაჩენთ (ძლუს აბას, გუმინ სამი ტრავმირებული ფეხბურთელი — ნინამძღვრიშვილი, ლომიძე, სამადაშვილი აკლდა); იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი გაბეგობა და შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის გაუნდს ყველანაირად ეხმარება, „დილას“ სერიოზული ამბიციებიც უკვე ადვილი გასაგები იქნება.

გია ტუხაშვილი

# კადრების პრობლემა

## მოთახაზების არა, ძალაძს რომ არ ეკადრება

33 წლის გამოცდილ მცველ სევასტი თოდუას „ტორპედოს“ ზეობის პერიოდში ქუთაისურ გუნდთან ერთად საქართველოს ჩემპიონობა და თასი მოუგია. დღეს კი „ვისოლის“ მიერ აღორძინებული გუნდის კაპიტანია და კვლავაც „ტორპედოს“ დაცვის ბურჯად ითვლება. პირველ ორ წრეში მისი გამოცდილება მნიშვნელოვნად განაპირობებდა რიონისპირელთა დაცვის საიმედოობას. ქუთაისელებმა ჩემპიონატში „დინამოს“ შემდეგ ყველაზე ცოტა (10) გოლი რომ გაუშვეს, ამაში თოდუას დიდი წვლილიცაა. გუნდის კაპიტანი „ტორპედოს“ გულშემატკივრებსაც განსაკუთრებით უყვართ და მისი ძველებურად ეიმედებათ. სევასტის ანთალიაში შეკრებაზე გამგზავრებამდე ვესაუბრეთ.



— ახალწამოყალიბებული გუნდი ხშირ შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ აღწევს და ჩვენც ასე დაგვემართა. პირველ ეტაპზე 3-4 თამაში მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მაგრამ გაცილებით მეტი ჩავაგდეთ. მოგება ძალიან გვიჭირდა. ხშირად ბედიც არ გვწყალობდა, მაგრამ წარუმატებლობის მხოლოდ ამით ახსნა მართებული არ იქნება. ალბათ, კლასიც გვაკლდა და შეთანხმებაც. თანაც, რამდენიმე ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავდა, რომლებიც უმალეს ლიგაში პირველად თამაშობდნენ და ამის ბრალიც იყო ჩვენი არასახარბიელო შედეგი.

— „ტორპედოს“ „პირველი ნომრის“ თამაში უჭირდა. ვისთანაც ფავორიტებად ითვლებოდა, სწორედ იმ გუნდებთან ნაიფორბილეთ, ლიდერებთან კი უკეთ თამაშობდით.

— ფავორიტებთან მართლაც კარგად გამოგვივლიდა თამაში. ყველაზე კარგად „დინამოსთან“ ვითამაშეთ (1:1), მთელი მატჩის განმავლობაში ფავორიტებიც კარგად ვივადებდით კიდევ; მაგრამ ნამიერი მოდუნების გამო დაგისაჯეთ. კარგად ვითამაშეთ შინ „ნესტაფონთან“ (1:0) და „ოლიმპთან“. თითო-ორილა მატჩს თუ არ ჩავთვლით, თითქმის ყველა შეხვედრაში შეტევაზე ვაკეთებდით აქცენტს, ბევრს ცეცხვავდით, მაგრამ რეალურ მიმართებებს ვერ ვქმნიდით და გოლი ვერ გავგეგონდა. ეს იყო ჩვენი პრობლემა, რის გამოც მატჩების უმრავლესობა, რომლებშიც ფავორიტად ვითვლებოდით, 0:0 ვითამაშეთ და უამრავი ქულა გავანაგეთ.

— სამაგიეროდ, „ტორპედოს“ დაცვა იყო საიმედო. ალბათ, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ იქნებო?

— ეს მცველებთან ერთად მეკარე ომარ მიგინიშვილის დამსახურებაცაა, რომელიც ძალიან საიმედოდ იცავდა კარს. თუმცა დაცვის კარგი თამაში არ ნიშნავს, რომ „ტორპედო“ დაცვით სტილის მიმდევარია. საკუთარ საჯარიმოში მხოლოდ ერთხელ „გამოვიკეტეთ“, როცა „ნესტაფონს“ 1:0 ვუგებდით და ანგარიშის შენარჩუნებას ვცდილობდით. სხვა შემთხვევაში დაცვაში არ „ჩავმეჯდარვართ“.

— ზამთრის შესვენებისას „ტორპედოში“ ბევრი ახალი ფეხბურთელი ჩარიცხვა და გუნდში კონკურენცია გაიზარდა. ალბათ, საგაზაფხულო ეტაპზე გაცილებით ძლიერ „ტორპედოს“ ვიხილავთ...

— მეორე ეტაპის იმედი გვაქვს. გუნდში მოვიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები, მეგრულად, გოცირიძე, სეთურიძე, დლოძი... სხვა საინტერესო მოთამაშეებიც დავიმბატეთ. მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. ყველა მატჩზე მოსაგებად გავალთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

დავით კოსტანიძე  
ქუთაისიდან

# რეჟისორი ქუთაისში

## შერავლეს ხმას აკლავს შეტევას

ქუთაისის „ტორპედოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანიც იმის გამოვლენა იყო, თუ რომელი რგოლია გუნდში ყველაზე პრობლემური და სად სჭირდება გაძლიერება. გამოკითხვის მონაწილე „ტორპედოს“ 1000-მდე გულშემატკივრის 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ გაძლიერება თავდამსხმავია საჭირო, 38 პროცენტი კი „ტორპედოს“ ნახევარდაცვის მოლონიერებას უჭერს მხარს.

კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით „გუნდის მმართველობა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებებით. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ რამდენიმე მოთამაშე უკვე დაიმატა, მაგრამ კიდევ ბევრ სხვა სასიამოვნო სიახლეს გვპირდება“.

რა „სასიამოვნო სიახლეებს გვპირდება“ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა, ამის თაობაზე ქუთაისელთა აღმასრულებელ დირექტორ გიორგი პაპიაშვილს დავეკითხეთ. თუმცა მან მნიშვნელოვანი ცვლილებები, ფაქტობრივად, გამოიციხა.

„კლუბი ძირითადად დაკომპლექტებულია და 21 იანვარს ანთალიაში შეკრებაზე მიემგზავრება. განსაკუთრებული ცვლილებები აღარ იქნება. მიგვახსნია, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთელები გვყავს და ახლა ჩვენი უპირველესი საზრუნავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა. სელექციის მეორე ეტაპი შედგება მდგომარეობის შევება და გადამწყვეტი, ვის დავტოვებთ და ვის გავუშვებთ. ფაქტია, რომ ჩვენს უახლოეს რეზერვს სერიოზულად უნდა მივხედოთ“, — გვითხრა პაპიაშვილმა.

„ლელოსთვის“ ცნობილი ვახდა, რომ რუსთავის „ოლიმპს“ ქუთაისელთა ცენტრალური მცველის, ნოდარ მაჭავარიანის დაბრუნება სურდა. ამის წინააღმდეგი ფეხბურთელიც არ იყო, რადგან პირველი ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისელთა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თუმცა „ტორპედოში“ 24 წლის მცველის ეიმედებათ და კონტრაქტის განწყვეტასა და იჯარაზე არ დათანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ მაჭავარიანმა გასული სეზონი „ოლიმპში“ საკმაოდ კარგად ჩაატარა და, ცხადია, მას დღევანდელი მდგომარეობა ვერ დააკმაყოფილებს.

მერაბ მამულაშვილი

# სიონი

## ყიფიანი თაჰისი სურვილი ნავილა

დღეს ბოლნისის „სიონი“ სეზონისთვის მოსამზადებლად ურეკში გუნდის თავკაც გიორგი ყიფიანის გარეშე გაემგზავრება. მან საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა „სიონი“ და ამიერიდან გუნდს გიორგი ყიფიანი უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე ყიფიანს ეხმარებოდა. იგი წლებია, ბოლნისელთა გუნდშია, მთავარ მწვრთნელადაც უმუშაოდა და მისთვის ეს ახალი საქმე არ არის.

ცხადია, ყიფიანთან დაკავშირებაც გვსურდა, მაგრამ გუშინ ეს არ მოხერხდა.

დავით ცაბუაძე




ქართული ფეხბურთი

ეროვნული სტადიონი

ღირებვორი ტას უყურებს: ნებავ, არ მოთოვოს

სორვატიამდე ეროვნულზე ფეხი არ დაიდგმება

საბარტოველს მორაგბეთა ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას რამდენიმე დღეში დაიწყებს და 5 თებერვალს ერთ-თა თასის გათამაშების პირველ მატჩში თბილისში უკრაინას უმასპინძლებს. ამ ფაქტში საინტერესო ისიცაა, რომ "ბორჯღალოსნები" მეტოქეს არა ეროვნულ, არამედ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებენ. დიდი ხანია, მორაგბეებს ეროვნულის გარდა სხვა არენაზე არ უთამაშიათ და, როგორც გაირკვა, ამის მიზეზად ეროვნული სტადიონზე საფრის შეცვლა დასახელდა.



სანდრო შახვიძლი

თუმცა ვითარება სხვაგვარადაა, რაზეც სტადიონის დირექტორი სანდრო შახვიძლი გველაპარაკა:

- საფარს ახლა არ ვცვლით, სხვაგვარად არის საქმე. 26 მარტს თბილისში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ხორვატიას უმასპინძლებს. კარგად გეცოდინებათ, საფარი რა მდგომარეობაში იყო. ასეთ მინდორზე სუსხსა და უამინდობაში თამაში გარკვეულ რისკს უკავშირდება. ჩვენთან თებერვალში თოვლი ალბათ მოვა და ვცდილობთ, რისკი ავირიდოთ. ნალექისგან განმედა მოედანს ყველაზე მეტად აფუჭებს. თოვლისგან დამცავი საშუალება 10 თებერვლისთვის გვექნება და თვის დასაზღვევად მას აუცილებლად გამოვიყენებთ.

ამიტომ გადაწყვიტეთ, მინდვრის დატვირთვა ხორვატიასთან მატჩამდე მაქსიმალურად შევამციროთ, საფარი დავასველოთ და საჭირო სამუშაოები ჩავატაროთ. ამის გამო 5 და 12 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები "მიხეილ მესხზე" ითამაშებს.

- ანუ საფრის შეცვლაზე ლაპარაკი ნაადრევია.

- საფარს ჯერ მხოლოდ საჯარმოს სეგმენტში შევცვლით, სადაც ყველაზე მძიმე მდგომარეობაა.

- მთლიანად როდის შეცვლით?

- ახლა განიხილება სტადიონის დაფინანსების საკითხი და თუ წარდგენილი ვარიანტი დამტკიცდება, საფარს მთლიანად აუცილებლად შევცვლით, ოღონდ ივნისში. მანამდე კი არსებული გაუმჯობესებას შევცვლით. სხვათა შორის, ახლა საფრის გამოცვლა მიზანშეწონილი არც არის, უპირველესად, რისკვაქტორების სიმრავლის გამო. შეიძლება დაგო, მაგრამ სუსხი გააფუჭებს და შრომა და ფული წყალში ჩაიყრება. ჩვენ კი იმის ფუფუნება არ გვაქვს, მინდორი წელიწადში ორჯერ შევცვალოთ.

- დაფინანსების საკითხი როდის გადაწყდება?

- უახლოეს დღეებში.

- როგორც შევითქვით, სტადიონის კერძო პირისთვის გადაცემაზე ლაპარაკი შეწყდა და კვლავ მერია უპატრონებს.

- დიან, სტადიონი მერიის საკუთრებაა და მენეჯმენტსაც მერია უზრუნველყოფს.

მერა მაგულაშვილი

ბენდელას ტასი

ტურნირმა ქალაქები შეიარათა

აშხაზაშაში გმირულად დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მქონე, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ქაბუჯთა და ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილი წევრის ზაზა ბენდელაის სახელობის დასკვნითი ტურნირი დღეს დაიწყება. გათამაშება ცხინვალის „სპარტაკისა“ და მარტვილის „მერანის“ მატჩით გაიხსნება, რომელიც ურეკში გაიმართება. „ბენდელას თასის“ ორგანიზატორები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, საფეხბურთო კლუბი „საბურთალო“ არიან. გათამაშებას მხარში უდგას ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით კირკიტაძე, რომელიც ყოფილი ფეხბურთელია და ეს გათამაშებაც აქვს მოგებული. ტრადიციული ტურნირი ამჯერად მეოცედ ტარდება და მასში უმაღლესი და ქვედა ლიგების ათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ტურნირის გეოგრაფია გაფართოვდა და თბილისის გარდა, რუსთავს, ზესტაფონს და ურეკს მოიცავს. დედაქალაქში მატჩები „ნორჩი დინამოში“ სპორტკომპლექს „მატილში“ (ყოფილი „სიხარული“ თემქაზე) და 35-ე საფეხბურთო სკოლაში ჩატარდება.

გუშინ გათამაშების ნილისყრა ჩატარდა და ათი გუნდი ორ ჯგუფად განაწილდა:

რის „ივერია“, ცხინვალის „სპარტაკი“, თსუ, „ზესტაფონი“.

მ. ზაზაშვილი: „გაგრა“, ვიტ ჯორჯია, „ზოივეტი“, რუსთავის „იმედი“, თბილისის „დინამო“.

ჯგუფიდან ორი გამარჯვებული გადის ნახევარფინალში. ნახევარფინალური მატჩები 4 თებერვალს ჩატარდება, ფინალი და მატჩი მე-3 ადგილისთვის კი - 6 თებერვალს.

ტურნირის რეგლამენტში არაერთი სიახლეა. მოგება ჩვეულებრივ 3 ქულაა, მაგრამ თუ გუნდი 3 ან მეტი ბურთის სხვაობით გაიმარჯვებს, მას 4 ქულა დაენერება. ჯგუფურ ეტაპზე არც ერთი თამაში ფრედ არ დამთავრდება გამარჯვებულს პენალტების სერია გამოავლენს, რომელში გამარჯვებულს 2 ქულა დაენერება და ა. შ.

„ბენდელას თასზე“ „ზესტაფონი“, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ სარეზერვო გუნდებს გამოიყვანენ.


„საიუბილეო, მეოცე ტურნირია და გვინდა, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარდეს. ვინაიდან ქართული გუნდები სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადებიან, კლუბების უმეტესობას კი უჭირს, გადაწყვიტეთ, მათ ტერიტორიული პრინციპით ეასპარუვით. სპარინგმატჩები ყველას უნდა და „ბენდელას თასზე“ მონაწილეობა გუნდებისთვისაც სასურველია. ტურნირი საინტერესო იქნება და იმედი გვაქვს, მატჩებს გულშემატკივარი არ მოაკლდება“ - გვითხრა შევბრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქართლოს ქუმბურდიემ.

დავით ცაბაძე

საბრანსფერო მილი-მედი

Table with 4 columns: გუნდები, წავიდნენ, მოვიდნენ, შეკრება/საკონტრ. მატჩები. Rows include teams like ზუსტაფონი, ოლიმპი, დინამო, ვიტ ჯორჯია, კოლხეთი, სიონი, კოლხეთი, სამტრედია, სპარტაკი.

შენიშვნა: მეუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი



ინტერვიუ

# რუდ გულცი: გროზოში ფულისთვის არ ჩავდივარ

ლია, გასულ სეზონში ნარუმბეტლად ისა-პარეზა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ რუსეთის თასი მოიპოვა. კონსულტაციები მოსკოვში მცხოვრებ ჩემს მეგობრებთანაც გავიარე და საბოლოო გადაწყვეტილებაც მივიღე.

- არსებობს აზრი, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო გადადგით.

- მერნუმენთ, ფული გადამწყვეტი ფაქტორი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ბელგია-ჰოლანდიის საგანაცხადო კომიტეტის ხელმძღვანელის მისია ამოვწერე, გადავწყვიტე, სამწვრთნელო საქმიანობას დავებრუნებოდი. წამყვანი ევროპული კლუბებისგან წინადადება არ მიმიღია, რაც სეზონის შუაგულში სასეზონო ბუნებრივია. მქონდა ორი ვარიანტი არაევროპული შორეული ქვეყნებიდან, რაც ჩემთვის დიდად საინტერესო არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, "ტერეკის" მიზანი ევროთასებზე გასვლა და სწორედ ამ ამოცანამ ითამაშა გადაწყვეტი რილი ჩემს არჩევანში. მიზნის მისაღწევად კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს. მივიღე პირობა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელების შესაძენად თანხები გამოიყოფოდა. ჩემი გადაწყვეტილება სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა.

- გროზოში ცხოვრებას აპირებთ? ოჯახთან ერთად ჩამოხვალთ?

- სავარაუდოდ, გუნდთან ერთად, ბაზაზე ვიცხოვრებ, გროზოში კი მხო-

ლოდ მატჩების დროს ჩავალ. ჩემი ოჯახი ჰოლანდიაში დარჩება.

- თქვენამდე "ტერეკის" განვრთნას ესპანელ ვიქტორ მუნიოს სთავაზობდნენ. მან გუნდს რამდენიმე ვარჯიშიც ჩაუტარა, მაგრამ საბოლოოდ, კონტრაქტი არ გაფორმდა, რადგან "ტერეკმა" მას წინასწარი შეთანხმების პირობები დაურღვია. ამ ფაქტის გამო ხომ არ შფოთავდით?

- არა, რადგან კონტრაქტი ძალიან მალე გაფორმდა, იქ ჩანერილი პირობების დარღვევა კი წარმოუდგენლად მიმაჩნია.

- ბელგიურ-ჰოლანდიურმა განაცხადმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ბრძოლა რუსეთთან წააგო. საინტერესოა, თუ აპირებთ რუსეთში მუშაობას 2018 წლის მუნდიალამდე?

- იქამდე შვიდ წელიწადზე მეტია დარჩენილი, მწვრთნელები კი მოგეხსენებათ, ერთ ადგილზე დიდხანს იშვიათად მუშაობენ. ძალიან შორს ყურება არ მიყვარს, რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, უნდა ვაღიარო, რომ ღირსეულ კონკურენტთან დავმარცხდი.

- რისი მიღწევა გასურთ "ტერეკთან" ერთად?

- გუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმში გამოვლენაში უნდა დავეხმარო. პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა მოხვდეთ ევროპის ლიგაზე, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

ოქროს ბურთი



## მესის გარდა მარადონას გამოაქოვება

იმზამ, მიიღო თუ არა ლეო მესიმ ოქროს ბურთი დამსახურებულად, კიდევ დიდხანს იკამათებენ. საზეიმო დაჯილდოების შემდეგ ამ თემაზე საკუთარი აზრი უამრავმა საფეხბურთო ფიგურამ გამოთქვა, გუნდს კი დიეგო მარადონას კომენტარიც გამოქვეყნდა.

გასაკვირი არაა, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი საკუთარი შეგირდის გამარჯვებას კანონზომიერად მიიჩნევს, თუმცა მესის კონკურენტებსაც აქვს.

"კარგი იქნებოდა, წლეულს სამი ოქროს ბურთი დამსახურებოდა. მესის გარდა, ამ ჯილდოს ინიციატორი ჩავიცალა. პრიზი მხოლოდ ერთი და იგი საუკეთესოთა შორის საუკეთესომ დაიმსახურა", - ამბობს მარადონა.

ლივერპული


## ახალი ბოსები ჯიბეზე ხელს გაიქრავენ

კენი დალგლიზის თქმით, "ლივერპულის" ხელმძღვანელობა ახალი ტრანსფერებისთვის ფულს გამოყოფს. მერსისაიდელთა ახალმა დამრიგებელმა კლუბის ახალი მფლობელები შეაქო.

"ფეიქრობ, ახალი მფლობელების მოსვლასთან ერთად კლუბში სიტუაცია უფრო სტაბილური გახდა. ძალიან კარგი ხალხია. ჯონ ჰენრისა და ტომ ვერნერს პირადად შევხვდი და ერთად "ლივერპულის" განვითარების გზები განვიხილეთ. საუბრისას დიდი ყურადღება, რაღა თქმა უნდა, ტრანსფერებს დაეთმო და საერთო ენა ამ თემაზეც გამოვანახეთ, მეტიც, პოტენციური ახალწევლებზეც ვიმსჯელებთ, რომელთა ვინაობის დასახელებაც ახლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. შევთანხმდით, რომ ახალ ფეხბურთელებზე სრულ პასუხისმგებლობას ვიკისრებ და შესაბამისად, "ლივერპულის" თანხებს ტრანსფერებში ისევე გონივრულად დავხარჯავ, როგორც საკუთარ ფულს დავხარჯავდი", - აცხადებს დალგლიზი.

მან იქვე რაიან ბაბელის გერმანულ "ჰოფენჰაიმში" მომნიშვნელო ტრანსფერზეც ისაუბრა და თქვა, რომ ჰოლანდიელის მსგავსად ამ გაროების წინააღმდეგი არც "ლივერპულია", მაგრამ ისიც დაამატა, რომ კლუბები ფინანსურ საკითხებზე ჯერ არ შეთანხმებულან.

გვერდი მოაგზავნა ლევან ჯანაიას შვილმა



ნოვასკია

## ფიფა-უეფას რეპოლუსიური იდეა

საზონი გაზაფხულ-შემოდგომაზე, მუნდიალი ზამთარში

ფიფასა და უეფას პრეზიდენტები საერთაშორისო საფეხბურთო კალენდარში რეპოლუსიური ცვლილებების შეტანას არ გამორიცხავენ. ზეპ ბლატერისა და მიშელ პლატინის აზრით, უკეთესი იქნება, თუ ევროპის ყველა ქვეყანაში ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადავა. მათი აზრით, უპრიანი იქნება, თუ სეზონი არა აგვისტოდან მარტამდე, არამედ თებერვლიდან ნოემბრამდე გაიმართება. მსოფლიო და ევროპული ფეხბურთის

პირველკაცები არც ამას სჯერდებიან და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების გაზაფხულიდან თებერვალ-მარტოში გადატანის იდეას განიხილავენ.

ამ პროექტის დამტკიცებას ფიფას აღმასკომის თანხმობა დასჭირდება. თუ იდეა მოიწონეს, ეს ცვლილებები ძალაში 2015 წლის შემდეგ შევა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფიფამ ოფიციალურ განცხადებაში ყატარული მუნდიალის ზამთარში გამართვის ვარიანტი უარყო.



უცნაური ტრანსფერი

## მხოლოდ 31-ის და უკვე პონკონგში

კეუმანმა ევროპას ხელი დაუძინა

ერო დროს ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად მიჩნეული მატეა კეუმანი კარიერას არც მეტი და არც ნაკლები, ჰონკონგურ "საუთ ჩაინაში" გააგრძელებს. არადა, სერბი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა და რომ არა ფიზიკური ხასიათი და დისციპლინასთან მწყობრივი დამოკიდებულება, კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩვენი ყურადღების ცენტრში.

ჰონკონგზე რა გითხრათ და კეუმანი კარიერის უდიდესი ნაწილი ძალიან საინტერესო იყო. საფეხბურთო საზოგადოებამ იგი ბელგრადის "პარტიზანთან" გაიცილა, რასაც "ეინდჰოვენში" გატარებული ოთხი წარმატებული სეზონი მოჰყვა. ამის შემდეგ კეუმანი სახელიან კლუბებს პანტაუნტით იცვლიდა, მაგ-

რამ განსაკუთრებული კვალი ვერც ლონდონის "ჩელსიში" დატოვა, ვერც მადრიდის "ატლეტიკოში", ვერც სტამბულის "ფენერბაჰჩეში" და ვერც სანკტ-პეტერბურგის "ზენიტში". ბოლოს იგი "პარი სენ-ჟერმენში" ასპარეზობდა და მაინცდამაინც ვერც ფრანგებს გამოადგა.

"აქამდე მთელი კარიერა ევროპაში გავატარე, ახლა კი ახალი გამოცდილების მიღება მსურს. "საუთ ჩაინაში" თამაშის პერსპექტივა ძალიან მზიბლავს და მაქსიმალურად ვეცდები, რომ ამ კლუბს გამოვადგე. ზამთრის განმავლობაში კარგ ფორმაში შევედი, სათამაშოდ და გასატანად ისევე მზად ვარ", - ამბობს კეუმანი. ციტატის დასაწყისში მოყვანილი მისი სიტყვების გულწრფელობაზე თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ...



არსენალი

# ფარდინანდია ნასრი დაასახელა

ფიზპროექტის ასოციაციის თასის მესამე ეტაპის შესვენებაში, სესკ ფაბრე-გასმა თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ „არსენალში“ ყველა ერთსულოვანია და ამ სეზონში მთელი გუნდი ერთ მუშტად შეკრული აპირებს ტიტულებისთვის ბრძოლას. ეს „მეთოფეთა“ ესპანელმა კაპიტანმა სნორედ იმ დღეს დაამტკიცა, როდესაც ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბრაზილიელმა თანაგუნდელმა დენილსონმა მას ლიდერის თვისებები დაუწუნა - ჩრდილოლონდონელებმა ბრძოლისა და მათთვის ჩვეული ტექნიკური ფეხბურთის ნახაზით 3:1 მოუგეს შემართებულ „ლიდსს“. ამ გამარჯვებით „არსენალი“ მეოთხე ეტაპზე გავიდა.

მეოთხე ეტაპის 16 წყვილი 29-30 იანვარს ითამაშებს, თუმცა, გვიჯობს ფეხბურთის ასოციაციის თასის ადრეულ საფეხურებზე ლაპარაკს თავი დაგვანებოთ და „არსენალს“ დაეფრუდნეთ. მოგხსენებათ, ჩრდილოლონდონელები მეექვსე ნელინადა ჯილდოს გარეშე რჩებიან, თუმცა „ლიდსთან“ შესვენდრის გმირმა **სამირ ნასრიმ** განაცხადა, რომ ნლეულს ისინი ოთხივე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. დენილსონისა და ფაბრეგასის ამბავს ნასრიც შეხვო:

„ბალხს მითქმა-მოთქმა ძალიან უყვარს, მაგრამ თუ დლევადელ შეხვედრას კარგად დააკვირდით, შეამჩნევდით, რომ ჩვენი გუნდი მოედნის ყველა მონაკვეთზე ერთნაირად იყო მონადინებული და ერთ მუშტად შეკრული. ყველა ერთნაირად ითხოვდა ბურთს, ყველა ერთნაირი დაჟინებით იბრძოდა მის მონაკვეთებზე და ყველა ცდილობდა, თანაგუნდელისთვის სახირო მდგომარეობა შეექმნა. ჩვენ გუნდური ფეხბურთი ვითამაშეთ და გარწმუნებთ, ასე ამ სეზონში ძალიან ბევრს მივალწვეთ. ჩვენ გვინდა ასე, გამარჯვებებით ვიაროთ ბოლომდე და ყველა შეჯიბრებაში ტიტულის მოგება ვცადოთ.“

ჩინებულ ფორმაში მყოფმა ნასრიმ ანგარიში მესუთე წუთზევე გახსნა და თით „ლიდსის“ გულშემატკივრებისგან დაიმსახურა ტაში - ეს გახლდათ „მეთოფეთა“ სწრაფი და ულამაზესი კომბინაციის შედეგი. სხვათა შორის, ამ შეხვედრის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტრანმა ვარსკვლავმა **რიო ფერდინანდმა** „ტვიტერში“ თავის გვერდზე დაწერა, რომ მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ნასრის დაასახლებს. „მეთოფეთა“ კიდევ ორი გოლი **ბაქარი სანიამ** და **რობინ ვან პერსიმ** გაიტანეს. მატჩის შემდეგ ფრანგმა ნახევარმცველმა თქვა:

„დღეს ჩვენი ამოცანა იყო თავიდანვე ისე დაგვეწყო, რომ ლიდსელებს თავიანთი თამაშის დაღვება და საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნება ვერ მოეხსნოთ. ამის შემდეგ, უნარისხო მოედნის მიუხედავად, ჩვენ უკვე შევძლებდით მეტროქისთვის საკუთარი თამაშის თავზე მოხვევას. თამაშით, რასაკვირველია,



კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო გუნდის გამარჯვება გამიხარდა. სწორედ ეს იყო ყველაფერზე მნიშვნელოვანი.“

პრესკონფერენციაზე, ბუნებრივია, **არსენ ვენგერსაც** მისწვდნენ და ფაბრეგასისა და დენილსონის ამბავი გამოჰკითხეს. ვენგერმა ასე უპასუხა:

„დენილსონის კომენტარების შესახებ მეც ვაფიქვ. მგონი, ისევე ძველ სურათთან ვვაქვს საქმე: თავისი გუნდის თუ თანაგუნდელის შესახებ საჩიოთრო ნათქვამს მიაწერენ ადამიანს, რომელიც ახლახან დაბრუნდა უცხო ქვეყნიდან, ამჯერად ბრაზილიდან. არადა, დღეს თქვენი თვალით იხილეთ, რომ მოედანზე ყველა ფეხბურთელი ერთსულოვანი იყო. თამაშს არ ეტყობოდა, რომ ჩვენს გუნდში ვინმეს ვინმესთან კონფლიქტი აქვს. ერთი სიტყვით, ან ისევე ინგლისურად თარგმნის პრობლემა ვვაქვს ან კიდევ თქვენ წინაშე გუნდი, რომლის ფეხბურთელებსაც ერთმანეთი არ უყვართ, მაგრამ მოედანზე ერთსულოვანნი არიან. ამ ორიდან რომელ ვარიანტთან ვვაქვს საქმე, თქვენ გაარკვიეთ.“

ერთადერთი, რაც დენილსონისა და ფაბრეგასის შესახებ შემიძლია ვითხრათ, ის არის, რომ ისინი მეგობრები არიან. ვიცი, ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ. სესკი ჩვენი გუნდის კაპიტანია, რობინ ვან პერსი ვიცე-კაპიტანი. ჩვენ ბევრი ლიდერი გვყავს, რაშიც, იმედია, დღესაც დარწმუნდით. პირადად ჩემი დამოკიდებულების ამბავსაც გეტყვით: მე „არსენალის“ კაპიტნით ძალიან კმაყოფილი ვარ. სესკი ნამდვილი ლიდერია და როდესაც ვაგახსენებდით, რომ ყველაფერთან ერთად ის მხოლოდ 23 წლის არის, მიხვდებით, თუ რა ძლიერ პიროვნებასთან ვვაქვს საქმე.“

ჩაქლი

# დროგბას ორობითი სისჯავა

„ჩაქლის“ კოტ დ'ივუარელი ვარსკვლავი **დიდი დროგბა** აღიარებს, რომ მისი გუნდი დღეისათვის ბევრი ვერაფრის შემძლეა და ერთადერთი, რაც შეიძლება მიზნად დაისახოს, ზედიზედ ორი შესვენდრის მოგება გახლავთ. არც თავად დროგბა ისეთ ფორმაში, წინა წლებში რომ იყო. მას მერე, რაც მალარია მოიხადა, ვერა და ვერ ათამაშდა ძველებურად. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად მისი ცუდად თამაშის ბრალიც არის ის, რომ დღეისათვის ინგლისის ჩემპიონი პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე ადგილზეა, თუმცა, ადვილზე უფრო მთავარი ის არის, რომ ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 7 ქულით ჩამორჩება. მეტიც, „იუნაიტედს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ცნობისათვის: ბოლო 30 შესაძლებლიდან „ლურჯებმა“ მხოლოდ 10 ქულა მოიპოვეს.

დროგბამ თქვა: „დღეს ჩვენ არ ვართ ისეთ ფორმაში, როდესაც გუნდები ტიტულისთვის ბრძოლას გვგმავენ. ყველაზე მეტი, რაც ახლა შეგვიძლია, ზედიზედ ორი მატჩის მოგება და მიზნად სწორედ ამას დავისახავთ. თუ მოვიგებთ, მერე ვნახავთ. არ ვხუმრობ, მართლა გეუბნებით.“

პრემიერლიგაში ზედიზედ ორი თამაში „ჩაქლის“ ბოლოს ოქტომბერში მოიგო. დღეისათვის კი მდგომარეობა ასეთია: „ლურჯები“, რომლებმაც წინა ტურში „სტეფორდ ბრიჯზე“ „ბლექბერნს“ 2:0 მოუგეს, ორშაბათს ბოლტონში თამაშობენ. 32 წლის ფორვარდმა დასძინა:

„დაიბ, თუ გვინდა რეალისტები ვიყოთ, ვერჯერობით, ზედიზედ ორ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ და სხვა არაფერზე. ასეთია სინამდვილე, რომელიც გვაჩვენებს, რა ცუდად ვთამაშობდით ბოლო პერიოდში. დაახლოებით თვე-ნახევარი კომარული გვკრინდა. ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს და ჩვენ ამასთან შორს არ ვართ.“

როდესაც გუნდი ვერ იგებს, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას კარგავს, ხოლო დაკარგული რწმენის აღდგენის ერთადერთი გზა ზედიზედ რამდენიმე შესვენდრაში გამარჯვებაა. როდესაც ზედიზედ სამჯერ მოიგებ, იგრძნობ, რომ კვლავ საჩემპიონო მართონის წვერი ხარ.“

მოგხსენებათ, ამ სეზონში „ჩაქლის“ ტრავმებმაც დარია ხელი. კარგა ხნის განმავლობაში „ლურ-

## ახალბედი გიგანტი ბენზემა

„სანდერლენდთან“ „ასტონ ვილაში“ გაქცეულ დარენ ბენზს ძველი გუნდის გულშემატკივრები ემუქრებიან. თავდამსხმელს, რომელშიც ბირმინგემელებმა 24 მილიონი ფუნტი გადაიხადეს, „ტვიტერზე“ აურაცხელი მესიჯი მიუვიდა. რა ენერგოდა ამ მესიჯებში, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ მაგალითები მაინც მოვიტანოთ. ერთში ეწერა: „იმედი მაქვს, რომ ტანჯვით მოკვდები. დაგაფინყდა, რა გაეკეთეთ სანდერლენდელებმა შენთვის?“. აი, მეორეც: „მოკვდი, იუდა!“

რასაკვირველია, ბენზს არც ის დავიწყებია, რომ „ასტონ ვილას“ მომავალ სეზონში „სთუდიუმ ოფ ლითიუმზე“ ექნება სათამაშო:

„გაიხად, როდესაც ჩვენს სტადიონზე სათამაშოდ გამოხვალ, წინაშე ფრთხილად იყურე და ზურგიდანაც თავდასხმას ელოდე.“

იყო ასეთიც: „ხარბო ადამიანო. იმედი მაქვს, „ასტონ ვილა“ პრემიერლიგიდან გავარდება.“ ბენზმა განაცხადა, რომ „ტვიტერში“ კარგა ხანს აღარ შეიხედავს, რათა სანდერლენდელის ნერილები არ ნაიკითხოს. ახალი ფეხბურთელის მხარდასაჭერად „ასტონ ვილაში“ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც წერია:

„ვფიქრობთ, „სანდერლენდმა“ უნდა აუხსნას თავის ფანებს, რატომ დართო ნება დარენ ბენზს სხვა გუნდში გადასულიყო.“

## ახალბედი კვლავ დაშავდა

„ჩაქლის“ ექიმები ცხრა პირ ოფლს იდენენ, რათა ვარჯიშზე დაშავებულ ფრენკ ლემპარდს უმკურნალონ - ლემპარდმა მყესი დაიზიანა. 32 წლის ნახევარმცველის მდგომარეობა ჯერ მაინც დაკვირვებით არის შესასწავლი და თუ გაიკვდება, რომ მას ისევ ხანგრძლივი დასვენება მოუწევს, „ჩაქლის“ საჩემპიონო ამბიციას სერიოზული დაბრკობა შეექმნება.

მოგხსენებათ, კარლო ანჩელოტიმ „ლურჯების“ თილისმად ქცეული ამ ფეხბურთელის გარეშე გუნდი მთელი ოთხი თვე ათამაშა - ლემპარდს თავიდან თაქარზე შეექმნა პრობლემები, შემდეგ კი ამას კუნთის სერიოზული დაზიანებაც დაემატა. ვეტრანი ვარსკვლავი დიდი ხანი არ არის რაც გამოჯანმრთელდა - სულ ექვს შესვენდრაში (შეგახსენებთ, რომ ინგლისში, წლის დასაწყისში, თამაშები ერთიმეორის მიყოლებით იმართება და 6 შესვენდრა 6 კვირას არ ნიშნავს) მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შეძლებს თუ არა ორშაბათს „ბოლტონთან“ მოედანზე გასვლას, ჯერ არავინ იცის.


თუ ანჩელოტის შიში დადასტურდება და ლემპარდს დიდი ხნით მოუხდება საქმესთან ჩამოშორება, მაშინ, ძირითად შემადგენლობაში 17 წლის **ჯომ მაკერენიც** კი შეიძლება ვიხილოთ.

## კონჩასკის უშვაბანო

ან მოსვლა რა იყო, ან ნასვლა რა არისო, ამაზე ნათქვამი: „ლივერპული“ პოლ კონჩესკის სეზონის დასრულებამდე „ფულჰემს“ უბრუნებს. და ლონდონელებს რაღად უნდათ მერსისაიდელის დაუნებელი მცველი? საქმე ის არის, რომ „ფულჰემის“ მწვრთნელს **მარკ პოუს** მექსიკელი კარლოს სალსიდოს თამაში არ აკმაყოფილებს. არადა, სასაცილო რამ გამოდის - ჯერ ხუთი თვეც კი არ გასულა, რაც კონჩესკი „კრივენი კოტეჯიდან“ „ენფილდ როუდზე“ გადაბარგდა. „ლივერპულმა“ 29 წლის ინგლისელში 4 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

სანტერესოა, რომ „ფულჰემში“ დაბრუნების გარდა კონჩესკის სხვა ვარიანტი არც ჰქონდა, რადგან სეზონის დასაწყისში მან ამ გუნდის შემადგენლობაში ერთ შესვენდრაში უკვე მიიღო მონაწილეობა - პრემიერლიგის წესების თანახმად, ფეხბურთელი ერთი სეზონის განმავლობაში სამ გუნდში ვერ ითამაშებს. თეორიულად, თუ გაჭირდა, არის კიდევ ერთი ვარიანტი - კონჩესკის შეუძლია დაბალი ლიგის კლუბს მიაკითხოს და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი იმქაროს. ჯერ იანიცადოს და თუ ნახავს, რომ სატრანსფერო ბაზრობის პერიოდში „ფულჰემთან“ რაღაც არ გამოდის, ბაზრის დახურვის შემდეგ გადავიდეს, ვთქვათ, „ჩემპიონატი“ გუნდში. თუმცა, რამდენადაც ცნობილია, ამ მცველს ასე არ უჭირს.

გვერდი მოამზადა ილია ბაბუნაშვილმა



**ალაჯონსონი** დარწმუნებულია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთ მშვენიერ დღეს ფეხი დაუცდება და ცხრილში პირველ ადგილს დაკარგავს - „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელებსა და ქომაგებს სწამთ, რომ 35-წლიანი ჩაყარდნის შემდეგ ისტელენდერები, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებენ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს. მოგხსენებათ, „სიტი“ პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზეა. დაუმარცხებელ „იუნაიტედსა“ და მას ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ, თუმცა „იუნაიტედს“ ორი შესვენდრით ნაკლები აქვს ნათამაშები.

23 წლის ვარემარბი ამბობს: „ყოველი მოგებული თამაში ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ჩემპიონის ტიტულთან. დიდი წარმატების მოლოდინი განსაკუთ-

## ტიტულისთვის ბრძოლა

# იუნაიტედს ფეხი დაუხდება

რებული გრძნობა და ჩვენი გუნდის ბიჭები ამ გრძნობით არიან შეპყრობილნი. ჩვენ თითოეულ შესვენდრას დიდი მოუთმენლობით ველით და ვგრძნობთ, რომ ასეთი შემართება საბოლოოდ ჩემპიონის ტიტულთან ან რომელიმე თასის მოგებასთან მიგვიყვანს.

ექვი არ მეპარება, რომ გუნდებს, რომლებიც დღეს დიდი რიხით მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ადრე თუ გვიან ფეხი დაუცდებათ. ზოგიერთი ფორმიდან ამოვარდება. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს“, მას რამდენიმე დიდი თამაში ჯერ კიდევ ელის, რომელთა შორის ჩვენი „ოლდ ტრეფორდზე“ სტუმრობაც გახლავთ. ჩვენ შიგადაშიგ დიდებულ შესვენდრებს ვატარებთ და ამის გვეიმედება. ვფიქრობ, ყოველ მომდევნო მატჩში უკეთ და უკეთ ვთამაშობთ.“

ამასობაში კი აბუ დაბიში მყოფმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა **დევიდ გილმა** დაიქადა, რომ „იუნაიტედის“ თავაცას, სერ **ალექს ფერგიუსონს** აქვს საკმარისი სახსრები, რათა „მანჩესტერ სიტის“ დიდი ვარსკვლავების ყიდვაში გაეჯიბროს. ვილი აბუ დაბიში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკოლის გასასხნელად გახლდათ ჩასული. მას ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ხომ არ გაეჯიბრებოდა ალექს ფერგიუსონი თანაქალაქელებს ისეთი ფეხბურთელის შექმნაში, როგორიც, მაგალითად, მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი **კაკაა**. გილმა მიუგო:

„რომ გვინდოდეს, გავეჯიბრებოდით, მაგრამ თუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სატრანსფერო პოლიტიკას დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ჩვენ აღიარებულ ვარსკვლავებს ყიდვით თავს დიდად არ ვინუხებთ. ჩვენ ვყიდულობთ საჭირო ფეხბურთელებს და მათ ვარსკვლავებად ვაქცევთ. უეინ რუნის მაგალითზე კი დავამტკიცეთ, რომ თუ საჭიროა, არც დიდძალი ფულის ვაღებას და ვეფხურთვლა ხელშეწყობს დაინშენას ვერადებით.“

საბაჟო თასი. 1/4 ფინალი. სპანსურო მატჩები

# ბარსა კინაღამ შერცხვა, ალმერია ისტორია დანერგა

„ესტადიო ბენიტო ვილიამარინო“ თამაშის დაწყებიდან მხოლოდ 7 წუთი იყო გასული, როცა „ბეტისის“ 28 წლის ფორვარდის, ხორხე მოლინას წყალობით ეს გუნდი „ბარსელონას“ უკვე 2:0-ს უგებდა. ალბათ სევილიელთა ძალიან ოპტიმისტი ფანები 5-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრასაც იმედოვნებდნენ, მათ ბანერიც კი ჰქონდათ გამოფენილი: „ჩვენ გვჯერა“. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდა - „სამეფო თასის“ ნახევარფინალში „ბარსა“ გავიდა, თუმცა სევილიელთა კლუბის არაერთი უკარგავს მიღწეულს, მოუგო „ბარსელონას“, თუნდაც უმოტივაციო მატჩში, ადვილი სულაც არ არის.

„ბეტისმა“ ანგარიში 70-ე წამზე გახსნა, როგორც ჩანს, გაბრიელ მილიტო სულ გადაჩვეულა ფეხბურთის თამაშს - მან საჯარიმო აჩუქა მეტოქეს, როცა ამის აუცილებლობა სულაც არ იყო - საჯარიმოს ხაზთან პერეირა მოცვლა, სალვა სევილიას ჩანოდეტოს მოლინა ახლო ძელთან დაუდარაჯდა და ანგარიში გახსნა. 5 წუთში ტანმაღალმა ფორ-

ვარდმა მეორეც გაიტანა, ამჯერად მისი ასისტენტობა ესეკიელმა იტვირთა. „ბარსელონა“ შოკში იყო და კინაღამ მე-15 წუთზე მესამე გოლიც გაუშვა. ნაჩომ ბრწყინვალე პასით დასარტყამ პოზიციასზე ისევე მოლინა გაიყვანა და რომ არა უერარდ პიკე, ფორვარდი პეთერიკს შეასრულებდა.

ამ მომენტის შემდეგ „ბარსამ“ ამოი-სუნთქა, ჩავი სულ უფრო ხშირად იყო ბურთთან და მთელი ძალებით ცდილობდა „ბეტისის“ გიჟური ტემპის შეწყვეტას. ყველაფერი 36-ე წუთზე გადაწყდა, როცა ჩავის პასისთვის ბრძოლაში მესიმ ისიდროს აჯობა და კასტოს ბურთი ფეხებში გაუტარა - 2:1. ტამის მინურულს „ვერდობლანკოსმა“ მე-3 გოლი გაიტანა, რაც კაპიტან არასუს დამსახურებაა.

მეორე ტაიმში მესი ერთი-ორჯერ საჯარიმო დარტყმებით დაემუქრა „ბეტისის“ კარს, მაგრამ არგენტინელს სიზუსტე ღალატობდა: მესის უილბლობის გვირგვინი კარს გადაცილებული პენალტი იყო. 67-ე წუთზე კი თამაშმა

კინაღამ თავიდან შეიძინა მნიშვნელობა, ნაჩომ ცაციათი აულებელი დაარტყა, „ბარსას“ ველარც პინტო შეელოდა, რომ არა ძელი. ამის შემდეგ თამაში დანერგა, „ბარსელონამ“ მოედნის ცენტრში დაიწყო ბურთის გათამაშება. ხოსე გვარდიოლას გუნდი ნახევარფინალშია და ერთ კვირაში „ალმერიას“ დაუპირის-პირდება. ასე დასრულდა „ბარსას“ ოთხ-თვიანი ნაუგებელი სერია.

**პეპე მელი** (ბეტისი): „180 წუთი ვებრძოლეთ მსოფლიოში საუკეთესო გუნდს, ეს კი დიდი მიღწევაა. ამ სათასო მატჩებით მთელ ესპანეთს დავემტკიცეთ, რომ კარგი, საკმაოდ თავდაჯერებული გუნდი ვართ. ეგ არის, სათასო ბატალიებმა ბევრი ფეხბურთელი დაგვიშვა და ახლა ეს პრიმერაში გადასვლისთვის ბრძოლაში ხელს შეგვეშობს. „კამპ ნოუზე“ განადგურება რომ არა, ვინ იცის, იქნებ ეს ეტაპიც გავკველო. მე-15 წუთზე მოლინას მესამე გოლი რომ გაეტანა, ჩვენს შანსებს 50/50 შევაფასებდი“.

**ხოსე გვარდიოლა** (ბარსელონა): „შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავედით საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებაში. ამიტომ კმაყოფილი ვარ. როცა ამ თამაშს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ „ბეტისთან“ კომპარული წუთები გადავიტანეთ. მინდა მეტოქეს წარმატება უუსურვო, წლეულს თასზე ვინც შეგხვდა, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია“.

პრიმერადივიზიონის ყველაზე მოკრძალებული გუნდი (ყველა პარამეტრი: ფინანსები, ისტორია, ფეხბურთელების კლასი) „ალმერია“ სასწაულს სასწაულზე სჩადის - კვირას ანდალუსიელებმა სენსაციურად აართვეს ქულები თვით მადრიდის „რეალს“, ახლა კიდევ „სამეფო თასის“ ნახევარფინალში გავიდნენ, პირველად კლუბის არსებობის ისტორიაში. ეს „ალმერია“ „რიასორზე“ მოახერხა, სადაც „დეპორტივოსთან“ 1-გოლიანი პანდიაკაპით ჩავიდა. ველოდით „ჩაკეტო“ თამაშს, რადგან „დეპორტივო“ ყველაზე დაცვით ფეხბურთს თამაშობს ესპანეთში (5 მცველი და მათ შორის ლიბეროთი), ხოლო „ალმერიას“ არაფრად აწყობდა შემტევი ფეხბურთის ჩვენება. საბედნიეროდ, ეს ვარაუდები არ გახართლდა და 5-გოლიანი თრილერი ვიხილეთ.

„ალმერია“ მე-19 წუთზე დანიანურ-და, როცა გალისიელთა კარში კორონამ გაიტანა, ერთ წუთში კი კრუსატმა ორამდე გაზარდა სტუმართა უპირატესობა. მაგრამ ამით ორმატჩიანი დაპირისპირების ბედი არ გარკვეულა - ტამის მინურულს პაბლო ალვარესმა პენალტი გაიტანა და „დეპორს“ იმედი დაუბრუნა. მართლაც, მეორე ტაიმის მე-6 წუთზე შეცვლაზე შესულმა ადრიანმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ საბოლოო წერტილი მატჩში „ალმერიას“ 26 წლის შეედმა ჰენოკ გოიტომმა დასვა პენალტის ნიშნულიდან - 4:2 ორმატჩიანი დაპირისპირებაში და „ალმერია“ თასის ნახევარფინალშია.

**ბაჟიში-ბარსელონა 3:1 (0:5)**  
 ბეტისი (4-4-2): კასტო - ისიდრო, როვერსიო, ბელენგერი, ნაჩო - სევილია, არსუ, ირინი (61. კანაისი), ესეკიელი (64. ვეგა) - პერეირა, მოლინა (79. ისრაელი).  
 ბარსელონა (4-3-3): პინტო - ადრიანო, პიკე, გ. მილიტო, მაქსველი - ჩავი (77. ბუსკეტსი), მასკერანო, კეიტა - მესი, კრკიჩი (85. შეფრენი), აველია (78. აბიდალი).  
 გოლები: 1:0 მოლინა (2), 2:0 მოლინა (7), 2:1 მესი (36), 3:1 არსუ (46)

**დეპორტივო-ალმერია 2:3 (0:1)**  
 დეპორტივო (4-2-3-1): მანუ - ლაურე, აიტამი, ზე კასტრო, მ. პაბლო - ტომასი (49. ადრიანი), ფუკა - პ. ალვარესი (70. ბესეირო), ვალერონი, რპერესი - ლასადი (58. ზემარე).  
 ალმერია (4-3-3): ესტებანი - მასედო, პელერანო, კ. გარსია, იაკობსენი - ხუანიტო (46. ვარგასი), მამაი, კორონა - ხუანმა ორტისი (63. ხონათანი), გოიტომი, კრუსაკი (82. პიატი).  
 გოლები: 0:1 კორონა (19), 0:2 კრუსაკი (20), 1:2 პ. ალვარესი (43-პენ), 2:2 ადრიანი (51), 2:3 გოიტომი (55-პენ).



ლეო მესი ბეტისთან მატჩში

სახალხო ფეხბურთი



გონსალო მადრიდის აეროპორტში

## იჯაინი: თავს გახილავით უკეთ ვერცხვით

მას შემდეგ, რაც გონსალო იჯაინმა ჩიკაგოში ზურგის ოპერაცია გაიკეთა, ის პირველად ენია მადრიდს. „ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვიმედოვნებდით. ძალიან გახარებული ვარ, რადგან თავს გაცილებით კარგად ვგრძნობ. მსურს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდე მინდორს. გუშინ ექიმებმა მორიგი ტესტები ჩამიტარეს და მითხრეს, რომ ყველაფერი წესრიგშია. თითქმის მთელი ტკივილი, რასაც ფეხში ვგრძნობდი, გაქრა. დარწმუნებული ვარ, რომ თამაში ამ სეზონშიც მომიწევს. ამერიკაში ყოფნისას ვნახე, თუ როგორ გამოხატეს ჩემმა თანაგუნდელებმა მხარდაჭერა, ყველამ ჩემი მისიურა ჩაიცვა და მოედანზე ისე გავიდა. ეს იყო დაუფინყარი სიურპრიზი, მე მათი მადლიერი ვარ“, - განაცხადა მადრიდის აეროპორტში არგენტინელმა ფორვარდმა.

## კონკო უკან ჯანოაში

„სპეილინს“ მცველი აბდული კონკო ქვეყანას გამოიცვლის - ის ახლოსაა „ვენოში“ გადასვლასთან, იტალიური კლუბი სანაცვლოდ ანდალუსიელებს 6 მილიონ ევროს გადაუხდის. „მარკას“ ცნობით, ყველაფერი შეთანხმებულია და მხოლოდ ერთი რამ დარჩა, მხარეებმა ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადონ. 26 წლის მცველის ხელში ჩაგდება „ვენოას“ სატრანსფერო სეზონის გახსნიდანვე სურდა. კონკოსთვის „ვენოა“ ლამის მშობლიური კლუბია - სწორედ ამ კლუბში თამაშისას გამოიჩინა თავი მან და 2008 წელს „სანჩეს პისხუანზე“ ფრანგი დანი ალვეშის შემცვლელად შეიძინეს. მაშინ „სევილიამ“ 9 მილიონი ევრო გადაიხადა. მაშინ კონკომ „სევილიასთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო მისი გამოსასყიდი თანხა 60 მილიონ ევროს შეადგენდა. მაგრამ კონკომ ესპანეთში იმედები ვერ გაამართლა და „სევილიაში“ დანი ალვეშის სრულფასოვნად შეცვლა ვერ შეძლო.

## რასინგი იყიდა

პიკე ერთი ესპანური კლუბი გადადის უცხოელთა ხელში, „მალაგას“ გზას სანტანდერის „რასინგი“ დაადგა, რომელსაც ორმატატიდან ახალი მეკატორნე ეყოლება, ინდოელი ბიზნესმენი ალი საიედი. შეგახსენებთ, რომ კანტაროულ კლუბში არასახარბიელო ფინანსური სიტუაცია და ის ვალეებში იხრჩობა. „ბოლო თვეებში რამდენიმე ქვეყნის კლუბები შევისწავლე და „რასინგი“ კარგად შეესაბამება ჩემს სტრატეგიას. ეს არის კარგი მენეჯმენტის ხელში მყოფი გუნდი დიდი პოტენციალით. ჩემი ოცნება ყოველთვის საფეხბურთო კლუბის ყიდვა და მისი თამაშების ცქერა იყო“, - განაცხადა ალი საიედი. შეგახსენებთ, რომ შარშან ალი საიედს არ გამოუვიდა ინგლისური „ბლექბერნ როვერსის“ ყიდვა. „მალაგას“ მფლობელი ყატარელი მილიარდელი შეის აბდულა ალ ტანია.

## ალტიდორი, ისაპ იჯარა

„ვილიარეალის“ ამერიკელი თავდამსხმელი ჟოზე ალტიდორი, შესაძლოა, ხიხონის „სპორტინგში“ აღმოჩნდეს. ასტურიამ ის იჯარის წესით გადავა, რათა მეტი სათამაშო დრო ჰქონდეს. ალტიდორმა ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი „ვილიარეალში“, ძირითადად მუდამ ნილმარი და ჯუზეუპე როსი თამაშობდნენ, ბრაზილიელის ტრავმის შემდეგ კი მარკო რუბენი გამოჩნდა. „სპორტინგის“ თავკაცი მანოლო პრესიადო მიიჩნევს, რომ ალტიდორი მათ პრობლემებს შეტევაში აუცილებლად მოაგვარებს. „სპორტინგის“ სამმა თავდამსხმელმა, დავიდ ბარალმა, გასტონ სანგოიმ და მატე ბილინმა ჯამში სულ სამი გოლი გაიტანა ამ სეზონში. ალტიდორმა „ვილიარეალის“ შემადგენლობაში ამ სეზონში 13 თამაშში 2 გოლი გაიტანა. ეს პირველი შემთხვევა არ იქნება, როცა „ვილიარეალი“ ამერიკელს იჯარით გაასხვისებს, ერთხელ მან „ჰალ სიტში“ ითამაშა, ერთხელაც - „ხერესში“.

## ვიპოკი ორი თვით

„მალორასს“ ფორვარდი ვიქტორ კასადესუსი ტრავმის გამო 2 თვით დააკლდება ბალეარულ კლუბს. ვიქტორმა კუნთი ბოლო ტურის მატჩში დაიზიანა და ექიმები უარეს ელოდნენ, ეგონათ მას ოპერაციის გაკეთება დასჭირდებოდა, ეს კი მას სეზონის ბოლომდე გამოაკლებდა გუნდს. თუმცა „მალორასს“ ექიმმა ტომეუ მუნარმა გამოაცხადა, რომ ოპერაცია საჭირო არ არის, ფეხბურთელი ფიზიოთერაპიის კურსებს გაივლის და 8-10 კვირაში გამოჯანმრთელდება. 25 წლის ფეხბურთელი დიდი ხანია „მალორასს“ წევრია, თუმცა ბოლო ორი სეზონი მან იჯარით „რეალ სოსიედადს“ და „ხიმნასტიკში“ გაატარა.

## სერანო სეზონის ბოლოდა

„რასინგის“ ფეხბურთელ ოსკარ სერანოს ნაკლებად გაუმართლა, მას ოპერაცია დასჭირდა და ახლა სეზონის ბოლომდე ვერაფრით დაეხმარება კანტაროულ კლუბს. სერანომ მარცხენა მუხლი „სპორტინგთან“ მატჩში დაიზიანა, დრო აღარ ითმენდა, მას მალე ჩაუტარდა ოპერაცია, რომელიც, ექიმთა თქმით, წარმატებული გამოდგება. არადა, სერანო ახალი დაბრუნებული იყო მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ, რომელიც მან გასული სეზონის ბოლოს მიიღო - წლევიანდელ სეზონში მან მხოლოდ 4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 29 წლის ოსკარ სერანო 2005 წლიდან „რასინგშია“, ის იქ „ესპანოლიდან“ გადავიდა.

სერია A გადადებული მატჩი

იტალიის თასი. 1/8 ფინალი



კვიუმ გოლი ემოციურად აღნიშნა

ინგოლის რთული გამარჯვება

ინტერი (4-3-1-2): კასტელაცი - მაიკონი, მატერაცი, ლუსიო, კიევი - ძანტო, კამბიასო, სტანკოვიჩი - პანდევი (85, კორდობა) - ეტო, მილიტო (20, ბიბია-ნი - 75, თბი).

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამო სერია A-ს ორიდან ერთი გადადებული პაექრობა „ინტერმა“ „ჩეზენასთან“ გამართა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა.

ანგარიში შესანიშნავ ფორმაში მყოფმა სამუელ ეტომ გახსნა - მე-14 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, მარჯვენა ფრთისკენ გაეცა მურვეს და უზუსტესი დარტყმით მეკარისაგან შორეულ კუთხეზე დალაშქრა.

მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, რაც ასევე მეტად მოულოდნელი გახლდათ. სტუმრებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა და ანგარიშის კიდევ ერთხელ გათანაბრება.

ნამატჩევეს, ლეონარდომ შეგირდებიც შეაქო და მეტოქე გუნდის: „თამაში მაღალ დონეზე დაიწყო და ორი გოლი შესანიშნავ სტილში გავიტანეთ, თუმცა მეტოქემ ხასიათი გამოავლინა და ანგარიში მაღლევ გაგვითანაბრა.“

Table with 6 columns: Rank, Name, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Lists players like M. L. Rossi, N. Barzani, etc.

ბოლონის დაკლებული აქვს 3 ქულა
ბომბარდირები: 13 - დი ნატალი, კავინი (ნაპოლი); 12 - ეტო (ინტერი); 11 - დი ვაიო (ბოლონია), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

დერბი თასზე
რომასი

სამპას გმირი რეზერვით

იტალიის თასის მერვედფინალური ეტაპის პაექრობები მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს და ტრადიცია არც ოთხშაბათს გამართულ შეხვედრებში დაირღვა.

რომა (4-3-1-2): ფულიო სერჟიო - ნ. ბურდისო, მექსე, ჯუანი, რისე - დე როსი, ბრიგი, გრეკო (46, მენეზი) - სიმპლისიო - ბორიელი, ადრიანო (46, უჩინიჩი).

იტალიის თასის თამაშები ძირითადად ნახევრად ცარიელი ტრიბუნების ფონზე მიმდინარეობს, თუმცა არა მაშინ, როდესაც ერთმანეთის პირისპირ რომელიც გუნდები დგანან.

მომენტების აღწერით თავს არ შეგანყენით, მხოლოდ გოლებზე გაგამახვილებთ ყურადღებას და აქვე აღვნიშნავთ, რომ სამიდან ორი შედეგიანი დარტყმა თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან განხორციელდა.



დერბის გმირი: ფაბიო სიმპლისიო

სამპალორა (4-4-2): ფუნორ კოსტა - დესენა, ვასტალდელო (52, ვოლტა), ლუკინი, ციგლერი - მანინი, პალომბო (93, პოცი), პოლი, გუბერტი - მაკედა (73, ტისონე), პაცინი.

„სტადიო მარასიზე“ გამართული შეხვედრა ძალიან საინტერესო გამოვიდა, რასაც იმანაც შეუწყობ ხელი, რომ ორივე გუნდმა შემეტყვე ფეხბურთი ითამაშა.

ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა და თავი „სამპას“ ახალბედა ფორვარდმა, ფედერიკო მაკედამ გამოიჩინა - გოლი მართლაც საოცარი გამოვიდა, მარცხენა ფეხით დაარტყა, ბურთი მარჯვენაზე მოხვდა და რიკომეტის ეფექტით ჩაეშვა უდინელთა კარის ბადეში.

დამატებითი დრო ახალი დანყებულ იყო, როდესაც დენისმა თავური დარტყმით კიდევ ერთხელ შეარხია გენუელთა კარის ბადე და „უდინეზე“ დაანიაურა.

დერბის გმირი: ფაბიო სიმპლისიო
სამპალორა (4-4-2): ფუნორ კოსტა - დესენა, ვასტალდელო (52, ვოლტა), ლუკინი, ციგლერი - მანინი, პალომბო (93, პოცი), პოლი, გუბერტი - მაკედა (73, ტისონე), პაცინი.

● ბაიერნი

# შვანი ათიანში არ ვარბა!

## ვან გალაგა ბასტიანი თავის ადგილზე უნდა დაბრუნოს

ბასტიან შვანიშვილი უკმაყოფილოა იმით, რომ ლუის ვან გალაგის ბოლო დროს გამომავლების პოზიციაზე ათამაშებს. წარმოგიდგინთ ანალიზს, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ „ბაიერნის“ ნახევარმცველი ცამდე მართალია, როცა ამბობს, რომ მისი ადგილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეა.

როცა კარგი ამინდია, ბასტიან შვანიშვილი ავინყვდება ყველა პრობლემა, რაც მიუნხენის „ბაიერნს“ დღესდღეობით აქვს. კვირის დასაწყისში მიუნხენში მზემ გამოანათა და შვანიც მამინვე თავის საყვარელ ადგილზე გაჩნდა - მიუნხენში საცოლედ სარა ბრანდერთან და თანაგუნდელ ჰოლგერ ბადშტუბერთან ერთად კაფე „ბოქს“ ესტუმრა და ხეირიანად განიჭვირდა.

„მიუნხენერ თავგისცაითუნების“ კორესპონდენტი, რომელიც ბასტიანს კაფე „ბოქსში“ შეხვდა, წერს, შვანი კარგ ხასიათზე კი იყო, მაგრამ თან „ვოლფსბურგთან“ ორი ქულის დაკარგვის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა - მით უმეტეს, რომ „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგისგან“ გოლი მატჩის მიწურულს სწორედ შვანიშვილის უპატივებელი შეცდომის გამო გაუშვა. ამიტომაცაა, რომ ბასტიანი თავს დამნაშავედ გრძნობს. არადა, მატჩის წინ თვითონ ამბობდა, პირველ წრეში ისეთი შეცდომები დავუშვით, რომელთა გამეორება სეზონის მეორე ნახევარში არაფრის დიდებით არ შეიძლება. მოკლედ, ბასტიანი ბუნდესლიგის მეორე წრისთვის დიდი მონდობებით ემზადებოდა, მაგრამ პირველივე ტურში იმედი გაუცრუვდა, „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგთან“ ვერ მოიგო, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ჩამორჩენა კი 16 ქულამდე გაიზარდა, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მიუნხენელებმა ჩემპიონობაზე ფიქრი უნდა შეწყვიტონ. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მინც.

თუმცა ბასტიანი „ვოლფსბურგთან“ მატჩის დაწყებამდე, უფრო სწორად, მოედანზე გასვლამდე იმედგაცრუებული იყო, რადგან ბავარიელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გალაგმა შვანი ნაცვლად მისი უსაყვარლესი პოზიციის (საყრდენი ნახევარმცველი), გამომავლების პოზიციაზე გააწვინა. ბასტიანს კი ვერ კიდევ მოსამზადებელ შეკრებაზე, დოპაში ყოფნის დროს შქონდა ნათქვამი, ჩემი ადგილი თავდამსხმელის უკან არ არისო. „ფეიქრობ, ისევ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე უნდა ვითამაშო. თავიდან სწორედ ასე ვიყავით შეთანხმებული და ვან გალაგს ყოველთვის საყრდენად მათამაშებდა. ჩემთვის „ექსისიანი“ პოზიციაზე ვეღარ ვიყავი, ან „რეიანისა“, „ათიანის“ ადგილზე კი თავს ისე კარგად ვერ ვგრძნობ, რაც ჩემს თამაშზეც აისახება,“ - ამბობდა შვანიშვილი იანერის დასაწყისში. 26 წლის ნახევარმცველმა დოპადან ჩამოსვლის შემდეგ ვან გალაგს პირადი საუბრის დროსაც უთხრა, რომ მისი ადგილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეა, მაგრამ...

2010 წელი შვანიშვილის კარიერაში უდავოდ საუკეთესო იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ სწორედ 2010 წელს ითამაშა მან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე როგორც „ბაიერნში“, ისე გერმანიის ნაკრებშიც, სწორედ „ექსისიანი“ ადგილიდან ჩამოყალიბდა შვანი სუპერგარსკვლავად. გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო „ათიანი“, ლეგენდარული გიუნტერ ნეტცერიც ამბობს, შეუიარაღებელი თვალთვალს ჩანს, რომ ბასტიანის ადგილი არა თავდამსხმელის უკან, არამედ დაცვის წინააო.

სტატისტიკა ამტკიცებს, რომ შვანიშვილი ცამდე მართალია, რადგან იდეალურად მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა საყრდენად გამოყენებული - ექსისიანის პოზიციაზე ბასტიანი ბურთის მინიმუმ 90-ჯერ (ვერდერთან მატჩში) და მასშიუმ

126-ჯერ (კაიზერსლაუტერნთან) ეხებოდა. აი, გამომავლების პოზიციაზე კი ბურთთან მინიმალური კონტაქტი 47 შქონდა, მასშიმალური კი 85. ამასთან, ბასტიანის საყრდენის პოზიციიდან უფრო ხშირად გააქვს გოლები, ვიდრე გამომავლებისა: ბუნდესლიგაში ორი გოლი აქვს, ერთი „ექსისიანის“ რანგში, ერთი კი „ათიანისა“. „ვერდერთან“ გერმანიის თასის შეხვედრაში დუბლი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციიდან შეასრულა. ესეც რომ არ იყოს, „ექსისიანის“ პოზიციაზე გამწვანებული შვანიშვილი გაცილებით მეტ ორთაბრძოლას იგებს (საშუალოდ 49.13 პროცენტით), ვიდრე როგორც გამომავლები (40.25 პროცენტით). იგივე იქმის ზუსტი პასების კვლავაც: 86.86 პროცენტით როგორც საყრდენი, 82.63 პროცენტით როგორც გამომავლები.

„შვანიშვილი სწორედ „ექსისიანი“ პოზიციაზე გაბრწყინდა და თავისი საუკეთესო თვისებებიც დაცვის ხაზის წინ გამოყენებულმა გამოავლინა. ვფიქრობ, ვან გალაგმა ბასტიანს პოზიცია იმიტომ შეუცვალა, რომ უცებ ასე დასჭირდა, მაგრამ ფაქტია, შვანი „ათიანის“ პოზიციაზე გაცილებით ცუდად გამოიყურება და სწორედ ეს არის მთავარი,“ - აცხადებს ნეტცერი.

ექსპერტების აზრით, პრობლემა ის არის, რომ საყრდენი ნახევარმცველის ორ პოზიციაზე (4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში) უდიდესი კონკურენცია გაჩნდა. გარდა იმისა, რომ ანატოლი ტიომოშუკი შესანიშნავ ფორმაშია და პირველი წრე ძალიან კარგად ჩაატარა, ბავარიელებმა იანერის დასაწყისში „ჰოფენშაიმიდან“ ლუის გუსტავო იყიდეს, რომელიც ასევე ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაშობდეს. თანაც, „ბაიერნს“ ხომ მარცხ ვან ბომელიც ჰყავს, რომელსაც მართალია, აქვს უფლება, რომ მიუნხენიდან წავიდეს, მაგრამ ვერ არ წასულა და თუ ვან ბომელი გუნდშია, აუცილებლად უნდა თამაშობდეს, რადგან სხვა თუ არაფერი, ჰოლანდიელი გუნდის კაპიტანია. გასულ სეზონში ვან ბომელისა და შვანიშვილი



რის დუბლი ნახევარდაცვის ცენტრში იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ ვან გალაგმა პლეიმიეკრად თომას მიულერს ათამაშებდა ხოლმე... რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა და ვან გალაგმა კარგად იცნან,

რაც უნდა შვანიშვილი იცნოს და იცინოს, რომ როცა ბასტიანი „ბაიერნთან“ კონტრაქტის 2016 წლამდე გაგრძელებას თანხმდებოდა, იმედი ჰქონდა, რომ თავის საყვარელ პოზიციაზე ათამაშებდნენ.

შვანიშვილის სტატისტიკა საყრდენის პოზიციაზე

მაჩი	მოგ. ორთ	კონტ. ბურთთან	პასები
ფრაიბურგთან	64%	104	90%
შტუტგარტთან	35%	113	82%
ბაიერნთან	50%	97	82%
ჰოფენშაიმიდან	38%	117	89%
კიოლნთან	33%	124	83%
ვერდერთან	56%	90	85%
კაიზერსლაუტერნთან	50%	126	87%
ვოლფსბურგთან	67%	115	97%

შვანიშვილის სტატისტიკა გამომავლების პოზიციაზე

მაჩი	მოგ. ორთ	კონტ. ბურთთან	პასები
ვოლფსბურგთან	10%	76	77%
ზანაბ პაუსისთან	47%	73	78%
შტუტგარტთან	36%	80	88%
ბანტარბახთან	50%	68	82%
ლევინკუჰენთან	47%	78	86%
ნიურნბერგთან	36%	47	85%
გლადასთან	53%	85	85%
დორტმუნდთან	43%	74	80%


● მოსალოდნელი ტრანსფერი

# პოდოლსკი რუსეთში?

## ჯენიტმა 15 მილიონი გააფხადა

სანატ პიტერბურგის „ჯენიტმა“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას დუბაიში გადის და სწორედ დუბაიდან გავერცელდა ის ინფორმაცია, რომელიც მეტე მთელ საფეხბურთო გერმანიას მოედო: რუსეთის ჩემპიონის „კიოლნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის, ლუკას პოდოლსკის გადაბირება უნდა. 25 წლის პოლდით დაინტერესება „ჯენიტის“ სპორტულმა დირექტორმა იგორ კორნეევმა დაადასტურა. „რაკი ამბობენ, რომ ჩვენი პოდოლსკის შეძენა გვირდა, ესე იგი, ასეცაა. პოდოლსკი ძალიან მაგარი თავდამსხმელია. მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ „კიოლნთან“ მოლაპარაკებები ვერ არ დაგვიწყია,“ - თქვა მან.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია „ჯენიტის“ დაინტერესების შესახებ თვითონ პოდოლსკივით დაადასტურა: ვიცი, რომ რუსებს ჩემი ყიდვა უნდათ, მაგრამ მეტი არც არაფერი მაქვს სათქმელი. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჯენიტმა“ მზადაა „კიოლნს“ 15 მილიონი ევრო გადაუხადოს, ოღონდ, პეტერბურგელებს ლუკასი ახლავს სურთ, რადგან ძალიან უნდათ, რომ ახალი სეზონი გერმანელი თავდამსხმელი დაიწყონ (რუსეთის ჩემ-



ლუკას პოდოლსკის ჯენიტში ეპატიუბიანი

პიონატი სტარტს მარტში აიღებს). კიოლნელებს პოლდით, რა თქმა უნდა, არ ეთმობათ და იანერში მის გაყიდვას გამორიცხავენ, მაგრამ აქ სხვა რამეცაა გასათვალისწინებელი: პოდოლსკის „თხებთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე კი აკავშირებს, მაგრამ თუ „კიოლნი“ ამ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში გავერდება (ამის დიდი შანსია, რადგან „თხები“ 18 ტურის შემდეგ მე-16 ადგილზეა), ლუკასს გუნდის დატოვება 5 მილიონ ევროდ შეეძლება. ასე რომ, რისკის გათვალისწინებით, „კიოლნს“ პოლდის გაყიდვა ახლა უფრო უღირს.

● ვერდერი

# ...მეგობრად მარტო ნვრტინა რას უზამს

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა, ბრემენის „ვერდერთში“ ეჭვი ვერჯერობით არავის ეპარება იმაში, რომ ზაფხულში ნაყიდი ავსტრიელი ფორვარდი მარკო არნაუტოვიჩი კარგი ფეხბურთელია. თუმცა თავდამსხმელის ხარისხი გოლების რაოდენობით იზომება, 21 წლის არნაუტოვიჩს კი ბუნდესლიგაში გოლი ძალიან დიდი ხანია, არ გაუტანია.

თვითონ განსაჯეთ: არნაუტოვიჩის უკანასკნელი გოლი 28 აგვისტოთი თარიღდება, როცა მარკომ გოლი „კიოლნთან“ შეხვედრაში გაიტანა. მას მერე ახალგაზრდა ავსტრიელმა ბუნდესლიგაში მოედანზე 827 წუთი დაჰყო და ერთხელაც არ უხეირია. ამდენი ხნის მანძილზე გოლი რომ არ გამოიტანა, ცხადია, ამის გამო ნერვები მემულებო, ალიარებს ავსტრიელი „კიოლნთან“ უკვე მეორე წრის მატჩის წინ, რომელიც შაბათს უნდა გაიმართოს და იქვე დასძინს: „მაგრამ ფაქტია, რომ ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ!“

არნაუტოვიჩი ამ შემთხვევაში სიმართლეს ამბობს - „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი თომას შაფიც ადასტურებს, რომ მარკო მეორე წრეში გაცილებით უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში იყო. პირველ თვეებში არნაუტოვიჩი ასე პროცენტით ამართლებდა იმ შეფასებებს, რასაც ჰოლანდიელი ან იტალიელი ჟურნალისტები „ტვენტეში“ ან „ინტერში“ თამაშის დროს უძღვნიდნენ: ყველაფერი ვზარებოდა, ბევრს ერთობოდა, ვარჯიშებზე ყოველთვის გამოიძინებელი იყო და ა.შ. ახლა კი შედარებით გამოსწორდა, რაც თუნდაც იმაზე ეტყობა, რომ ჟურნალისტებთან საუბრის დროს, „მე“ ხშირად „ჩვენს“ ხმარობს: „ცხა-

დია, უფრო მეტი გოლი უნდა გამოვიღებ და ქომაგები ჩემგან პირველ რიგში გოლებს ითხოვენ, მაგრამ კარგი იქნება, თანაგუნდელები უკეთეს პასებს რომ მძღვედნენ. თუმცა ყველაზე მთავარი მინც ისაა, რომ ჩვენი თამაშები მოვიგოთ, ჩემი გოლები ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი იქნება.“

ბრემენული კლუბის შეფი კლაუს ალოფსი ადასტურებს, არნაუტოვიჩი გამოსწორდა, რაც მას შაფიცს დამსახურებად მიაჩნია, რომელიც თურქეთში მოსამზადებელი შეკრების დროს „როთულად ალსაზრდელ“ ავსტრიელს საათობით ელაპარაკებოდა. ალოფსის თქმით, თომასის წვრთნამ შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. „არნაუტოვიჩმა უნდა გაითავისოს, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიუდგება ვარჯიშებს, თამაშებს და საერთოდ, ცხოვრებას. ჩვენი მისი სანაცვლოდ ძალიან დიდი ფული გადავიხადეთ და ცხადია, საპასუხო შედეგებსაც ველოდ,“ - ამბობს ალოფსი.

გასულ უქმეებზე, „ჰოფენშაიმიდან“ მატჩში, რომელიც ბრემენელებმა 2:1 მოიგეს, შაფიცმა ისევ ორი თავდამსხმელი ითამაშა და ნინა ხაზში არნაუტოვიჩი-პისაროს ტანდემი ჰყავდა გამწვანებული. პირველ წუთებში ავსტრიელი და გამოცდილი პერუელი ერთმანეთს ცუდად უგებდნენ, რადგან მარკო ხშირად ისევე ეგოსტურად იქცეოდა, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა და სხვათა შორის, პისარომ გოლი სწორედ მარკოს პასით გაიტანა.

იმედია, ყველაფერი ასე გაგრძელდება, აცხადებს არნაუტოვიჩი და სხვათა შორის, იმავს იმედოვნებს პისაროც, რომელიც იანერის დასაწყისში მარკოს მაგრად აკრიტიკებდა. „ის მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იყოს კონცენტრირე-

ბული და სხვა ყველაფერი უნდა დაივიწყოს. არნაუტოვიჩი ისეთ ასაკშია, რომ თუ ახლავე არ დასერიოზულდა, მერე აღარაფერი ეშველება!“ - ამბობდა პისარო ბელგეში ყოფნის დროს. დღეს კი კლაუსი აცხადებს, რომ არნაუტოვიჩი გაცილებით უკეთ გამოიყურება. როგორც ჩანს, ჭკუა მართლაც ისწავლა და ერთადერთი, რაც ახლა აკლია, გოლებია, თორემ აქამდე მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი გოლი აქვს გატანილი - ორი „კიოლნთან“, აგვისტოს ბოლოს და ერთიც ჩემპიონთა ლიგაში, ყოფილი გუნდის, „ტვენტეს“ წინააღმდეგ.

გვერდი მოაფხადა გოტფრიდ ლენცმა



ვერდერის ავსტრიელი თავდამსხმელი მარკო არნაუტოვიჩი

● ანგარი

# ინფორმაციი ფრაიბურგშია

„ფრაიბურგმა“ „შალკესა“ და სლოვაკეთის ნაკრების თავდამსხმელი ერიკ იენდრიშეკი იყიდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბრისიგაუტლებს 24 წლის ინფორმაციის ტრანსფერი 900 000 ევრო დაუჯდათ. „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელი რობინ დუტი ამ გარიგებით უადრესად კმაყოფილია. შეგახსენებთ, რომ ერიკ იენდრიშეკი „შალკეში“ ზაფხულში, კაიზერსლაუტერნიდან გადავიდა, მაგრამ გელზენკირხენულ კლუბში იმედები ვერ გაამართლა.



ქართული სპორტი

თავისუფალი ჰიდაობა

# ბარამიძე კარიერის მასაჟარზე

სამშისისეთი პირი უჩანს, საქართველოს ამჟამინდელი ჩემპიონი 66 კილოგრამში, გორელი ცოტნე ბარამიძე კარიერას დაასრულებს. არადა, ის ჯერ მხოლოდ 24 წლისაა. ჭაბუკთა შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონი არც ისე დიდი ხნის წინათ ნაკრების ერთ-ერთ პერსპექტიულ კანდიდატად მიიჩნეოდა, როგორც მისი უფროსი ძმა - არჩილ ბარამიძე. ნოემბერში ცოტნემ დამაჯერებლად გაიმარჯვა საქართველოს პირველობაზე, მაგრამ კარიერის ჩარხი უკუღმა სწორედ მას შემდეგ დაუტრიალდა. საქმე ისაა, რომ 2007 წელს მან მოქალაქეობა შეიცვალა - მრავალთა მიერ გატყუებულ გზას იხივს გაპყვება და ყაზახეთში წავიდა. მართალია, რამდენიმე წელიწადში ისევ უკან დაბრუნდა, მაგრამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA) სწორედ ამ მიზეზების იმიზეზებს და საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სახელით გამოსვლის უფლებას

ლა, არამედ სულ სხვა რამეს ითვალისწინებს.

როგორც ამბობენ, FILA-მ ეს ახალი კანონი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ზენლოთი თუ რეკომენდაციით მიიღო. მოგვსენებთ, რუსეთის ფედერაციის ავტონომიებიდან წასული მოჭიდავეები მთელ მსოფლიოს მოედნებზე და მათთვის მიგრაციის პრობლემა მართლაც აქტუალურია. იქნებ რუსები ამ პროცესს არც თავიდან მიესალმებოდნენ, მაგრამ სანყის ეტაპზე დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა კი სერიოზულად შეშფოთდნენ, რადგან ასეთი ნატურალიზებულიები მათივე ათლეტებისთვის იქცნენ დაუძლიველ ზღუდეებად. შორს რომ არ წავიდეთ, საამისოდ უახლოესი წლებიდანაც ბევრი მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ თავისუფალ ჭიდაობაში. მაგალითად, ბოლო წლებში 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში რუსთა გამოკვეთილი ლიდერს, ოლიმპიურ და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ეროვნებით ოს **ჰაჯიმურატ**

**FILA-მ ახალი კანონი მოიშველია, რომლის თანახმადც მოქალაქეობის შეცვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ანუ, ბარამიძეს ლიმიტი ამოწურული აქვს - ერთხელ უკვე შეიცვალა, როცა უაზრებში გადავიდა**

არ აძლევს. თავიდან გვეგონა, რომ FILA-ს მიზნად მოქალაქეობის შესახებ არსებული რეგლამენტის მოპყვება, რომლის თანახმად, სხვა ქვეყანაში უნებართვოდ წასვლა საერთაშორისო არენიდან ორწლიანი იზოლაციით ისეგება, მაგრამ ამ მხრივ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო - ბარამიძეს ყაზახთა სახელით პირველობის ხოვან ოფიციალურ შეჯიბრებებში არ უჭიდავია და იქაურები არც საქართველოში მის დაბრუნებას ეწინააღმდეგებოდნენ. პირიქით, FILA-ს ყაზახებმაც სთხოვეს, მაგ კაცს ჩვენი სახელით არც უჭიდავია სადმე, არც გვეჭირდებოდა და არც სამშობლოში მის დაბრუნებას ვეწინააღმდეგებთ, უყოყმანოდაც ვუშვებთ ჩვენგან და იქნებ თქვენც დართოთ საქართველოს სახელით ჭიდაობის ნებაო, მაგრამ FILA-მ ახალი კანონი მოიშველია, რომლის თანახმადც მოქალაქეობის შეცვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ანუ, ბარამიძეს ლიმიტი ამოწურული აქვს - ერთხელ უკვე შეიცვალა, როცა ყაზახეთში გადავიდა, ახლა კი ეს პასპორტის შეცვლის მეორე შემთხვევა იქნება.

ასე და ამგვარად, ისე გამოდის, 24 წლის ბიჭს რეალურად დამუქრა კარიერის დასრულების საფრთხე, რაც ძალზე ცუდი იქნება. გარდა იმისა, რომ ბარამიძე ნაკრებისთვისაც საჭიროა, ყველაფერი მისი ოჯახური მდგომარეობაც ამიძიებს - სახლში ავადმყოფი დედა ჰყავს, მამა კი რამდენიმე წლის წინათ სტეფანწინდამი ტურნირზე შეღების ქომავლისას დაიღუპა (არჩილის ჭიდაობაზე).

ამ შექმნილ ვითარებაში რა გამოსავალი არსებობს? ალბათ, არც არაფერი. მართალია, FILA-მ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გამოგზავნილი განმარტებით ბარათს რეკომენდაციაც მოაყოლა, თუ ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, შეგიძ



ვანეს, კიდევ აჩიდავეს და ევროპის ჩემპიონიც გახდა. შედეგად, რუსებმა FILA-ში იჩივეს და იმის მიუხედავად, რომ მათი არქივიდან მსოფლიოს საკამათო თასის ოქმები საერთოდ გაქრა, ვიდრე და ფორტომასლის წარდგენით სიმართლე მანც დაამტკიცეს და სპორტმენის დისკვალიფიკაციასაც მიადნის, თუმცა საინტერესოა, რომ FILA-მ მას ოქროს მედალი არ ჩამოართვა!

ეტყობა, რუსებმა ახლა ამ პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა განიზრახეს და FILA-ს ზემოაღნიშნული კანონი მიადნინეს. თუმცა მანამდე რუსებმა პრობლემის მოგვარება თავისთან სცადეს - ორი წლის წინათ ჭიდაობის იქსურმა ფედერაციამ მკაცრად გააფრთხილა დალეტნისა და ჩრდილო ოსეთის რეგიონული ფედერაციები, რათა აღეკვეთათ სპორტსმენთა მიგრაცია. უცხო ქვეყნებში გადახვეწილთა უმეტესობა მართლაც ამ ორ ავტონომიაზე მოდის, მაგრამ რაც გამოვიდა მიხეილ მამიაშვილის სამწყსოს ამ დავალებიდან, კარგად ჩანს - ეს პროცესი ოდნავადაც არ შეჩერებულა და მას შემდეგ კვლავაც არაერთი მოჭიდავე წავიდა უცხოეთში.

თუმცა მაინც გასაკვირია, რატომ ჩაერეოდნენ რუსები ზემოაღნიშნული კანონის მიღებაში - მათგან მხოლოდ მიდიან, უკან კი არავინ ბრუნდება. ლაპარაკი თუ იმაზეა, რომ უცხოეთში გადასული ფალაგენები ხშირად იქაც იცვლიან მოქალაქეობას და სხვა ქვეყნებში გადადიან, მაშინ საკითხი კიდევ გასაგებია.

**როგორც ამბობენ, FILA-მ ეს ახალი კანონი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის წყალობით თუ რეკომენდაციით მიიღო. მოგვსენებთ, რუსეთის ფედერაციის ავტონომიებიდან წასული მოჭიდავეები მთელ მსოფლიოს მოედნებზე**

ისე, ერთხელ რუსები თვითონ გახლართნენ ანალიზიურ საკანონმდებლო აბლაბუდაში. 2007 წლის ბოლოს მათ ქართული წარმომავლის ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ერთ დროს დაუმარცხებელი მძიმეწონისანი დავით მუსულებსი სლოვაკეთში გაუშვეს. მანამდე მუსულებსი სპორტიდან წავიდა და ორი წლის შემდეგ დაუბრუნდა ხალჩას ბეკინის ოლიმპიადის მოახლოების გამო. მის არყოფნაში რუსეთის ნაკრებს ამ წონაში ახალი ლიდერი გამოუჩნდა - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ზახტარ ახმედოვი** და მუსულებსი იოლად შეეღივნენ. ეტყობა, იფიქრეს, რაღაში გვეჭირდებაო, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ მან ძველებურად აკრიფა ფორმა და ჩვენთვის ავადსახსენებელ ევროპის 2006 წლის პირველობაზე ფინალში გასვლით ლიცენზიაც მოიპოვა (შეგახსენებთ - მაშინ ის ფინალში დავით მოქმანაშვილთან დამარცხდა, რომელიც იქვე დოპინგზე ჩავარდა) ანუ მათი ფალაგენებისთვის სახიფათო მეტოქედ იქცა, მაშინვე მოინდომეს მისი დაბრუნება. უფრო სწორად, შეეცადნენ, მისთვის პეკინში გამოსვლის ნება წაერთმიათ, კარგად ხვდებოდნენ - დაბრუნებით ვერ დაბრუნებდნენ, რადგან თვითონვე დართეს გადასვლის ნება. ამ ნიუანსის გამო მათი არც ის პრეტენზია ჩანდა რეალური და აკი ვერც გახდნენ ვერაფერს - მუსულებსმა პეკინში იჭიდავა და ბრინჯაოც მოიპოვა, თუმცა ახმედოვიმ შედეგით აჯობა - მეორეზე გავიდა. სხვათა შორის, მან ის ფინალის ტიმაზოვთან წააგო.

რუსებს განსაკუთრებით დიდი პრობლემები აზერბაიჯანელებმა შეუქმნეს, რომლებიც მასობრივად ინვევენ ჩრდილო კავკასიელ ფალაგენებს. შედეგად მათ უკვე გუნდურ პირველობაშიც ართმევენ ლიდერობას, მაგრამ სხვა მხრივაც მოუწოდებს დაჩაგვრა - ევროპის წლებადელ პირველობაშიც მდე სულ რამდენიმე დღით ადრე, შეიძლება ითქვას, პირდაპირ წაართვეს დაღესტნელი **მაჰმუდ მაგომედოვი** (55)!

მაშინ აზერბაიჯანელებს ამ წონაში თავისი მოჭიდავე დაუშავდა და დანაკლისის შესავსებად დაღესტანს მიაბურეს, რაკილა ნაკრების თავკაციც იქაური ჰყავთ. რუსები აფრთხილებდნენ მათ, რომ არ სურდათ მაგომედოვის გაშვება და რაკი ფალაგანმა წინა წელს რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს თასზე იჭიდავა, არ ჰქონდათ მისი ტურნირში დაშვების ნება. არ ვიცი, აზერბაიჯანელებს რისი იმედი ჰქონდათ, ალბათ, თავიანთი ფულებისა, მაგრამ მაგომედოვი მაინც წაიყ

სამოს სამყარო. ჰასუ ბაბუაძე

# ბაბაბარუ იბრაჰიმის

ერთადერთი ქართველი, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის ახალი წლის ბაბუაზე დადებითი ბალანსისთვის მე-6 მაგამარა გაგამარუა (თეიმურაზ ჯუღელი). თეიმურაზს დანის პირზე უნევს გავლა, რადგან ნაგებების მარაგი უკვე ამოწურა. გუშინ 198-კილოანამა ქართველმა მძლავრი ომიდამით დოპიოდან ვეტერანი **შიმოტორი** გააგლო. გაგამარუს 5-7 ბალანსი აქვს და დარჩენილი სამივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. დღეს მისი მეტოქე მე-11 მაგამარა **შოტენროა** (6-6), 28 წლის მონღოლს გაგამარუ 4-ჯერ შეხვდა და 2-ჯერ მოუგო.

(იორიკირი), ტოიონოშიმა-ტოინონოშინი (ჰატაკოში), პომპო-ტაკეაძე (იორიკოში), ასაკორო-მაბიამა (მეტატენაშვილი), გოფლო-ვაკანოსატო (ოშიდაში), გაგამარუ-შიმოტორი (ოშიდაში), კოკუ-ტენო-კოკი (იორიკირი), ტოსაოტაკა-კორო (იორიკირი), ვაკაკორო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ოკინოში-კიტატაკი (ცუკოტოში), ტაკამისაკარი-ტოიოდა-კურა (უშირომტოტარე), ჰაკუბა-კიმურაიამა (იორიკირი), სოკოკურა-შიტენრო (იორიკოში), ტოიოშიბიკი-მოკონამი (ოშიდაში), კოტოკასუგა-ტოინონადა (იორიკირი).

**საბურთო მკომარაოვა**


11-1: ჰაკუპო (იოკოჰენა), 10-2: ოკინოში (მაგამარა 13), 9-3: კოტოშუ (ოძეკი), კოტო-მოგი (სეიკე), ტოინონადა (მ 16)... 5-7: გაგამარუ (მ 6)... 3-9: კოკი (მ 15)... 1-1: ტოინონოში (მ 2)

XIII დღე: ჰაკუპო-კოტოშუ, კაიო-პარუმაფუჯი, ბარუტო-კისენსატო, კოტოშოგი-ჰომაში, ტოინონადა-ტამაჰა, კაკურუ-ტოკუსეგავა, ტოიონოშიმა-არანი, ამინოში-კოკოილო, ტოინონოში-იოშიკავე, შიმოტორი-ასაკეკირუ, კოკუ-ტენო-კოტოკასუგა, გაგამარუ-შიტენრო, კოკი-ტაკეაძე, ტოსაოტაკა-სოკოკურა, კიტატაკი-ტოინონადა, ტოიოდა-კურა-ტოკიტენკუ, ტაკამისაკარი-კიმურაიამა, ვაკანოსატო-ტოიოშიბიკი, მიაბიამა-მოკონამი, ოკინოში-ჰაკუბა, კორი-უაკაკოი.

**კოკიმ (ლეგან ცაგურია) და ტოინონოშიმა (ლეგან გორგაძე)** მორიგი ორთაბრძოლები წააგეს. ბაბოს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს დიდი ჩემპიონი **ჰაკუპო** 11-1 მოგებით, მას ერთი მოგებით ჩამორჩება მე-13 მაგამარა **ოკინოში**. 9-9 მოგება აქვთ **კოტოშუს**, **კოტოშოგიკუს** და **ტოინონადას**.

XII დღე: ჰაკუპო-პარუმაფუჯი (ცუკოშიზა), კაიო-ბარუტო (იორიკირი), კაკურუ-კოტოშოგი (მეტატენაშვილი), კოტოშოგი-იოშიკავე (იორიკირი), კისენსატო-ტამაჰა (ცუკოტოში), არანი-ტოინონადა (კოტენავე), ტოკუსეგავა-ამინოშიკი

ნიკოლოზ ნაშარიძე



ქაღრაქი

# ორი ხელისუფალი სამი ბურით აღკა

ანაკლიაში გუშინ მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატის მე-10 ტურის პარტიები გათამაშდა. გაუნწყნარ მათს შედეგებს: **ნინო ხურციძე** (2436)-**სალომე მელია** (2449) 0,5:0,5, **მაია ლომინიშვილი** (2345)-**მერი არაბიძე** (2315) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი** (2437)-**ბელა ხოტენაშვილი** (2440) 0,5:0,5, **ნაზი პაიკიძე** (2455)-**მაკა ფურცელაძე** (2323) 0:1, **ნინო ბაციაშვილი** (2396)-**სოფიკო ნიკოლაძე** (2254) 0,5:0,5, **მარიამ დანელია** (2248)-**ლელა ჯვახიშვილი** (2438) 0:1.

დღეს მე-11 ტურში ითამაშებენ: ნიკოლაძე-დანელია, ფურცელაძე-ბაციაშვილი, ხოტენაშვილი-პაიკიძე, არაბიძე-ხუხაშვილი, მელია-ლომინიშვილი, მიქაძე-ხურციძე, ჯვახიშვილი ისვენებს.

10 ტურის შემდეგ: ხურციძე, ლომინიშვილი — 6,5-6,5, ხოტენაშვილი — 6, ჯვახიშვილი, მელია, ფურცელაძე — 5-5, ხუხაშვილი, ბაციაშვილი, ნიკოლაძე — 4,5-4,5, დანელია — 4, პაიკიძე, მიქაძე — 3,5-3,5, არაბიძე — 1,5 ქულა.

გაუა დანელია



**ნინო ნომირი გამომკვეთავალი პროსპორტის პასუხი:**  
თარაზულად: 3. შიბაი, 5. კორიდა, 6. ალური, 9. ლელო, 10. ანანიძე, 11. ირაო, 14. ბირთვი, 15. ფვანია, 17. „სოკარი“, 18. ორძელი, 19. ეტლი, 20. ტირი, 25. სუმო, 26. გოგელია, 27. ფარი, 31. ისინდი, 32. ბრიჯი, 33. აკვრა.  
შვეულად: 1. ადილა, 2. ფილა, 3. შამონი, 4. ილია, 5. კუპერი, 7. ილიაძე, 8. იაძე, 12. ყვარელი, 13. გვარდია, 14. ბასკო, 16. აფიმა, 21. „გურია“, 22. ქორქია, 23. ფივა, 24. კროლი, 28. ფანი, 29. „თორი“, 30. რავა.





კალენდარი

ინტერვიუ ლევან მოსკოვიტთან



სლოვენიაში ევროპას დავებოლად

შპსპრეზარ გავიცილია და, რა ვნათ, ფორმაში თამაშ-თამაშ შევდივართო, - გასულ წლებში ასეთი შინაარსის ფრაზას არაერთი ქართველი მწერტენილისგან გაიგონებდით. წლებულს „არმიამ“ ჯაჭვი გაარღვია და სლოვენიაში, ქალაქ კოპერში შეკრებაზე გაემგზავრა. გარდა იმისა, რომ არმიელის მოსამზადებლად კარგი პირობები შექმნა, სპარინგ-მატჩებიც ნაყოფიერი გამოუვიდათ. თბილისელებმა ჯერ სლოვენის ლიგაში შექმნილი ადგილები მყოფ „სენჩურს“ სძლიეს (77:65), შემდეგ პირველადგილოსან „ზლატოროგთან“ დამარცხდნენ (72:76), საქართველოში გამომგზავრების წინა დღეს კი ტულუშისა და უგრეხელიძის ყოფილ კლუბ „სლოვენთან“ დათმეს (68:79). კოპერული შეკრების შესახებ „არმიის“ მთავარ მწერტენელ ლევან მოსკოვიტს ვესაუბრეთ.

- სლოვენიაში 2-დან 17 იანვრამდე ვიყავით. ეს დრო სათანადო შეკრებისთვის საკმარისია. გექონდა ორჯერადი ვარჯიშები, კარგი პირობები, კვებით დაწყებული საარეზილიტაციო საშუალებებით დამთავრებული. მოკლედ, მზადებით კმაყოფილი ვარ.

ევროპასკაში 2011

222 დარჩა

201 ევრო სპორტმელოს ჩემპიონობაზე

ევროპის ჩემპიონატი 31 აგვისტოს დაიწყო. მანამდე ზუსტად 222 დღე დარჩა. პოდა, გადაწყვეტთ ვაზეთის დღევანდელი ნომერი სტამბაში ისე არ გავგეფა, რომ ევროპასკაზე არაფერი დაგვეწერა.

LIETUVA XXXVII Europos vyrų krepšinio čempionatas 2 45 Lt

EuroBasket 2011 LITHUANIA FIBA EUROPE

გასვლაზე დავდებით. სამწუხაროდ, მომდევნო ეტაპზე გასვლაზე ფსონს ჯერ ერთი ტოტალიზატორიც არ იღებს. სამაგიეროდ, „უილიამ ჰილში“ საქართველოს ნაკრების ჩემპიონობაზე 1 ევრო რომ დადით 201 ევროს მოიგებთ. უფრო სკეპტიკურად უყურებს ქართველთა მანსებს „ბეტ 365“- 1 ევროში 500-ს იძლევიან. ტოტალიზატორ „888 სპორტის“ აზრით, ქართველების ჩემპიონობის შანსი 150 ევროდ ფასობს...

მინილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალური ტურნირი

არაოფიციალური ნახევარფინალში შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი ვინ იტაბაშებს კვირას?

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

ევროლიგა


შეკვლინის საკაქორლო 21 ოლიგპიაზ როში აილო

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი გიორგი შერმადინმა რეკორდით გასხნა, ხოლო მისმა „ოლიმპიამ“ - რომში გამარჯვებით.

ტენაძე (7ქ), შანიძე (22ქ, 8მ), სორდია (10ქ, 10მ), კანკია (8მ), კოპალიანი (9ქ), რ. დამუხი, ანთაძე (12ქ), კვარაცხელია (6)

Table with 2 columns: Team, Score. Includes teams like შსს, თსუ, ენერჯი, სოხუმი and their scores.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის კალენდარი მეტად საინტერესოდ შედგა: სანყისი ორი ტურის შემდეგ ერთი ფინალისტიც ვერ გამოვლინდა. შესაბამისად ტურნირის ფინალში მოასპარეზეთა ვინაობა დღეს გადაწყდება - ა ჯგუფში ერთმანეთს აქამდე დაუმარცხებელი შსს და თსუ (18 საათზე) დაუპირისპირდებიან, ხოლო B ჯგუფში ასევე უძლეველები, „სოხუმი“ და „ენერჯი“ (16:00) იტამაშებენ. ამ წყვილებში გამარჯვებულები კვირას 16 საათზე ერთმანეთს ფინალში შეერკინებიან.



გიორგი შერმადინი მეტოქეს უფარებს



● დიდი რაბზის ახალი სახეარო

# იაპონელად გარდაქმნა

ახლანდელ გერმანულ ინფორმაცია, რომ „ლონდონ აირისის“ სამოელი ვარსკვლავი სეილა მამუსუსა სეზონის დასრულების შემდეგ იაპონიაში გადაბარდება. სამოელმა უკვე გააფორმა ხელშეკრულება „კუბოტა სპორტსთან“.

ალსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ამომავალი მზის ქვეყანა მსოფლიო რანგის ოსტატებს იზიდავს. იაპონელები ეგზოტიკასთან ერთად მორაგბეებს მაღალანაზღაურებასაც სთავაზობენ. ცხადია, უცხოელმა რაგბის ვარსკვლავებმა დიდი ვალენა იქონიეს იაპონური რაგბის განვითარებაზე, რაც ნათლად აისახა ამ ქვეყნის ნაკრების ბოლო მატჩებში. შეგახსენებთ, რომ იაპონელთა ეროვნულ ნაკრებს ლეგენდარული ახალზელანდიელი გარემარბი ჯონ ქირვანი წვრთნის. იმათგან, ვინც კარიერის გაგრძელება იაპონიაში მოისურვა, შემდეგ მორაგბეებს გამოვარჩევთ:



ჯორჯ გრეგანი

## ჯორჯ გრეგანი (აბსტრაქტია, სუპტორი სუპერლინატი)

გრეგანი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ის თავის მდიდარ და ძალზედ საინტერესო კარიერას ტოკიოში, „სუნტორი სუნგოლიაის“ შემადგენლობაში ასრულებს. „ვოლაბების“ ყოფილი ცხრა ნომერი, რომლის შემადგენლობაშიც 1999 წელს მსოფლიო თასი მოიგო, იაპონიაში 2008 წელს ედი ჯოუნზის დახმარებით აღმოჩნდა.

მანამდე გრეგანი ფრანგულ „ტულონში“ ასპარეზობდა, სადაც წელიწადში მილიონ დოლარს იღებდა. შარშან გრეგანმა თქვა, რომ ბოლო სეზონს ატარებს და როგორც კი იაპონიის ლიგის გათამაშება დასრულდება, ბუცებს ლურსმანზე დაკიდებს.

„იაპონიაში აქამდეც რამდენჯერმე ვყოფილვარ და ყოველთვის მიხაროდა აქ დაბრუნება. ბევრი რამ ვისწავლე. იაპონელები მუდმივად სწავლობენ, ვითარდებიან, მუხლჩაუხრელად შრომობენ და პროგრესსაც აღწევენ. მოთამაშეები ვითარდებიან, მათი დონე დღითი დღე იზრდება. დიდს დიდობით იაპონელებს ბევრი საკმაოდ იმედის მომცემი მორაგბე შეყავთ და იმედი მაქვს, საერთაშორისო არენაზე წარმატებას მიაღწევენ“ - თქვა ჯორჯ გრეგანმა.

## ტოუტაი კეფუ

(აბსტრაქტია, კუპოტა სპირი)

„ვოლაბების“ შემადგენლობაში 60 კეპის მოხვეჭის შემდეგ კეფუმ იაპონიას მიაშურა და იქ შესანიშნავი ხუთი სეზონი გაატარა. ავსტრალიის ნაკრების ტონგური წარმომობის რვა ნომერი ამჟამად ბრისბენის ერთ-ერთი სარაგბო გუნდის მწვრთნელია. მორაგბეობისას დაცვაში გაუფასო და შეტევისას შეუჩერებელი, საკმაოდ გულწრფელიც გამოდგა. მან საჯაროდ გულახდილად თქვა, რა ზიანი მოაქვთ უცხოელ რაგბის ვარსკვლავებს იაპონური რაგბისთვის:

„ისეთ მოთამაშეებს, როგორც გრეგანი და ლერჰეშია, იაპონიაში დიდი ფულის შოვნა შეუძლიათ, მაგრამ ეს სერიოზულ პრობლემას უქმნის რაგბის მომავალს ამ ქვეყანაში. ზოგიერთი კლუბი, ფაქტობრივად, სამოყვარულოდ გადაიქცა, რადგან მაღალი დონის პროფესიონალ მორაგბეებზე თითქმის მთელი ქონება დახარჯეს. ახლა იაპონურ რაგბის დიდი ჩავერდნა ელოდება, თუმცა, საბედნიეროდ, მაინც არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურვილი

აქვთ, რაგბიში ფული ჩადონ და მის განვითარებაზე იზრუნონ“ - თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში კეფუმ.

## ჯეიმზ ერლიდჯი

(აბსტრაქტია, დოკოპო კანსაი)

ის ახალზელანდიურ ჰემილიტონში დაიბადა. ერლიდჯი საკმაოდ ახალგაზრდა იყო, როცა კარლოს სპენსერს დუბლიორობას უწევდა. ახალზელანდიური კარიერის ხანაში ის ოქლენდში, ნორთლენდსა და ოტაგოში თამაშობდა. 2003 წელს კი ზე 12-ის გათამაშებაში „ჰაილენდერზის“ შემადგენლობაშიც იასპარეზა.


ჟეიმზ ერლიდჯი იაპონიაში 2004 წელს გადაბარდა და ოსაკას „დოკოპო კანსაიში“ ჩაირიცხა. მაშინ გუნდებს მატჩში სამ უცხოელზე მეტი მოთამაშის გამოყვანა არ შეეძლოთ. მოგვიანებით ერლიდჯი უელსურ „ნიუპორტსა“ და ინგლისურ „ნოტინგემში“ თამაშობდა.

## ტონი ბრაუნი

(აბსტრაქტია, სანიო უაილდ კანაისი)

ბრაუნის კარიერა იაპონიაში წარმატებული გამოდგა. „ოლ ბლექსის“ ყოფილი მგეზავი, რომელმაც 18 კეპი მოიხვეჭა, ტოკიოს მასობლად, პატარა ქალაქ ოტას „სანიო უაილდ კანაისში“ 2005 წელს გადაბარდა.

2007-08 წლების სეზონში ბრაუნმა გუნდთან ერთად იაპონიის ლიგა მოიგო.



ფური დუ პრი

ხოლო ქობაგთა გამოკითხვის შედეგად გათამაშების საუკეთესო მორაგბედ აღიარეს. ის იძულებული გახდა რაგბიდან 2008 წელს წასულიყო, რადგან ერთ-ერთ მატჩში სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა მიიღო.

## რიკო გეარი

(აბსტრაქტია, კინტეცუ ლაინერზი)

მან 2004-07 წლებში „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში 19 კეპი მოიხვეჭა. კეთილი ნების თამაშებზე კი შვიდჯერა რაგბიში შესანიშნავად ითამაშა, ახალი ზელანდიის ნაკრებმა იქ პირველობა არავის დაუთმო. 2007 წლის მსოფლიო თასზე განცდილი კრახის შემდეგ რიკო ნაკრებიდან გაუშვეს და მან ახალი თავშესაფარის ძებნა დაიწყო. ჯერ ინგლისურ „ვორსტერში“ გადაბარდა, მაგრამ ხშირი ტრავმის გამო კარიერა ვერ აანყო. 2010 წელს კი ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშის პიტერ სლანის მიხვევით ამომავალი მზის ქვეყანაში გადაბარდა. სლანი „კინტეცუ ლაინერზის“ მთავარი მწვრთნელია.

## ლეონ ბაკონალდი

(აბსტრაქტია, იაგაპა ჟუბილო)

მან იაპონიას პირველად 2004 წელს მიაშურა, სადაც „იაგაპა ჟუბილოში“ ჩაირიცხა. მაკონალდმა ფულბეკის პოზიციაზე „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში 5 წელი მოიხვეჭა და 141 ქულა მოიპოვა. მან 2003 და 2007 წლების მსოფლიო თასის გათამაშებაშიც იასპარეზა. ლეონმა ზე რაგბის გათამაშებაშიც გამოიჩინა თავი. 2009 წელს კი ისევ იაპონიაში დაბრუნდა და „კინტეცუ ლაინერზი“ ჩაირიცხა. აქ მან სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც სამშობლოში დაბრუნდა და „ტასმანის“ მწვრთნელი გახდა.

## ფური დუ პრი

(სამხრეთ აფრიკა)

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ცხრა ნომრისთვის იაპონიაში გადაბარგება, შესაძლოა, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება გამოდგეს. დუ პრი ერთ-ერთ იაპონურ კლუბთან კონტრაქტს 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ გააფორმებს. თუმცა იქამდე გამორიცხული არ არის, მისი დატოვება გუნდში პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ სცადოს.

ფური დუ პრის ტრავმის გამო გასული სეზონი გაუტყდა და ძალიან უნდა კარიერა იაპონიაში განაგრძოს.

„ძალიან მინდა გარემო შევიცვალო და სხვა კულტურაში ვცადო ძალა. ახალი კონტრაქტი საშუალებას მომცემს ბევრი ახალი ვნახო, ვისწავლო, თამაში უფრო მრავალფეროვანი გახდეს. თანაც დროა ვიფიქრო აქტიური კარიერის დასრულებაზე. მინდა, მოგვიანებით, მწვრთნელად ვიმუშაო.“ - თქვა ფური დუ პრი.

● 21 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიკში



გერეთ ედვარდსი

## 1912 წელი

უელსის ნაკრების ცხრა ნომერმა დიკი ოუენმა ეროვნულ გუნდში 34-ე კეპი მოიხვეჭა, რითაც 11 წლით ადრე ბილი ბენკროფტის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. ოუენი „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრებთან 0:8 წაგებულ მატჩში გუნდის კაპიტანი იყო. ეს მისი ბოლო შეხვედრა გამოდგა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. ოუენი რაგბიდან 34 წლის ასაკში წავიდა.

## 1923 წელი

ინგლისის ნაკრების მესამეხაზული ლეო პარისი ყველაზე სწრაფი ლელოს გამტანად მოეწონა რაგბის სამყაროს. მან „თვიქნემზე“ უელსის ეროვნულ გუნდთან მატჩში ლელო მე-10 ნომრზე გაიტანა. „პომებმა“ მეტოქეს 7:3 მოუგეს. ერთი არეკნი ინგლისელთა გარემარბის ალისტერ სმოლუუდის ანგარიშზეა.

## 1934 წელი

კარდიფში „არმს პარკზე“ ჩრდილოეთის ტრიბუნა ოფიციალურად ინგლისის ნაკრებთან მატჩით გაიხსნა. უელსელებმა შეხვედრა მშრალი ანგარიშით - 0:9 წააგეს. თამაშის გმირი ინგლისელთა გარემარბი გრემ მეიკლი გახდა, რომელმაც ორი ლელო მიითვალა.

## 1968 წელი

გერეთ ედვარდსმა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში პირველი ლელო გაიტანა. უელსის ნაკრებმა „თვიქნემზე“ „პომებთან“ ფრეს მიაღწია - 11:11. უელსელთაგან მეორე ლელო ბობი უონზონის ანგარიშზეა, რომელმაც ეროვნულ გუნდში პირველად და უკანასკნელად ითამაშა.

## 1973 წელი

ტომ გრეისის ლელოს წყალობით ინგლისის ნაკრებმა „ლენსდაუნ როუდზე“ „ოლ ბლექსთან“ ფრედ 10:10 ითამაშა. ახალზელანდიელებთან მიღწეული ეს შედეგი ირლანდიელებისთვის დღემდე საუკეთესოა. ვილი-ჯონ მაკბრეიდი იმ შეხვედრაში მეორე ხაზში იდგა. ტომ კირნენმა ორი საჯარიმო გაიტანა.

## 1979 წელი

უელსელებმა დამტკიცეს, რომ ჯერარდ დევისის, გერეთ ედვარდსისა და ფილ ბენეტის რაგბიდან წასვლის მიუხედავად, მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და დიდი სლემი შესარულეს. უელსის ნაკრებმა ხუთი ეროვნული მატჩი, „მერიდილზე“ მოტლანდიის ეროვნულ გუნდს სძლია - 19:13. შესაძლოა, უელსელთა შორის ყველაზე მეტად ტერი ჰოლმსს გაუჭირდა. მან ლეგენდარული გერეთ ედვარდსის ადგილი დაიკავა და ერთი ლელოც მიითვალა.

## 1990 წელი

რორი ანდერუდი ინგლისის ნაკრების საუკეთესო მეტოქე გახდა. მან ირლანდიის ნაკრებთან მშრალი ანგარიშით 23:0 მოგებულ მატჩში თავისი მე-18 ლელო გაიტანა და სირილ ლოუს რეკორდი გააუმჯობესა. ლოუ ინგლისის ეროვნული გუნდის ლირსებას 1913-23 წლებში იცავდა.

## 2009 წელი

ინგლისის რაგბის კავშირმა დაადასტურა, რომ „ბასის“ შერკინების ბურჯი მეთ სტივენსი დოპინგ კონტროლზე ჩავარდა. მას დროებით აუკრძალეს ნებისმიერ ტურნირში თამაში და ეროვნული ნაკრებდანაც გარიცხეს. მოგვიანებით სტივენსს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მას განაჩენი არ გაუსაჩივრებია.

● ახგაპი

# გიგოს უპროპა მოუნდა

კანზერას „ბრამბიზის“ მგეზავი და ავსტრალიის ნაკრების შუამარბი მეთ გიტო ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიო თასის შემდეგ ვეროპაში გადაბარგებას აპირებს. „ვოლაბების“ ერთ-ერთ ნამყვან მოთამაშეს თვალის ფრანგულმა კლუბებმა „ბაიონმა“ და „ტულონმა“ დაადგეს. არჩევანს გიტო, სავარაუდოდ, მსოფლიო თასის მეორე გააქეთებს.

გვირდი მოამზადა ბესიკ ჯანგაპაძემ





როგორც... ავსტრალიის ღია პირველობა

რუსები შიღიან

ავსტრალიის ღია პირველობაზე მეორე ნრე დასრულდა. პირველმა ოთხმა დღემ ისე ჩაიარა, რომ ხმაურიახი სენსაცია არ ყოფილა, თუმცა გუშინ რამდენიმე საინტერესო და მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა.

უიღბლო დღე ჰქონდათ არგენტინელ ვარსკვლავებს. დავიდ ნალბანდიანმა, რომელმაც ორი დღის წინ მარათონული მატჩი მოუგო ავსტრალიელ ლეიტონ პიუიტს, გუშინ მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო. მსოფლიოს რეიტინგის პირველი ასეულის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელმა, ლიტველმა რიჩარდას ბერანკისმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. მაგრამ არგენტინელის მარცხის ძირითადი მიზეზი არა პროგრესის გზაზე მდგარი ბალტიისპირელის შესანიშნავი თამაში, არამედ ნალბანდიანის საშინელი ფიზიკური ფორმა იყო. დავიდი უბრალოდ მზად არ აღმოჩნდა მეორე წრის მატჩისთვის და მესამე სეტში ისედაც წაგებული მატჩი შეწყვიტა - 1:6, 0:6, 0:2.

„ლეიტონთან მატჩმა უდიდესი ენერჯია მოითხოვა. დღეს მთლიანად გამოფიტული ვიყავი. რთული იყო კონცენტრაცია. კორტზე ექიმს ვუხმე და მან მითხრა, რომ სახიფათო იყო თამაშის გაგრძელება. ამიტომაც შევწყვიტე მატჩი. როგორც აღმოჩნდა, ბერანკისი კარგი მოთამაშე ყოფილა. სამწუხაროდ, ვერ შევძელი მის წინააღმდეგ სრული ძალით თამაში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის მომავალში დიდ პროგრესს მიაღწევს, - განაცხადა არგენტინელმა.

გუშინდელი დღის პროგრამას ცენტრალური მატჩი ხურავდა - კვიპროსელი მარკოს ბაღდატისი არგენტინელი ხუან დელ პოტროს წინააღმდეგ. ორივე ჩოგბურთელი დღეს შორს არის ოპტიმალური სპორტული ფორმისგან. დელ პოტროსი საერთოდ ახლა ბრუნდება ჩოგბურთში მარშანდელი გამოტოვებული სეზონის შემდეგ. გუშინდელ მატჩში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. აშკარა იყო, რომ ამერიკის ღია პირველობის 2009 წლის ჩემპიონს სათამაშო პრაქტიკაც აკლდა და ფიზიკური ფორმის მხრივაც მოიკოჭლებდა. ამ ფონზე ბაღდატისი უფრო სტაბილურად გამოიყურებოდა. მეორე სეტში არგენტინელს ბრეიკ-პოინტზე ჩოგანი ხელიდან გაუვარდა, რის შემდეგაც ექიმს მიმართა მაჯის არეული ტკივილის გამო. ბაღდატისმა მესამე სეტის წაგების შემდეგ ასევე ექიმი იხმო დასახმარებლად. თუმცა მცირე პრობლემას კვიპროსელისთვის გამარჯვების მოპოვებაში ხელი არ შეუშლია - 6:1, 6:3, 4:6, 6:3.

ამაკაცებს შორის ლიდერებმა დამაჯერებლად გაიარეს მეორე წრის ბარიერი. არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ რაფაელ ნადალს, ენდი მიურეისა და რობინ სოდეგრენს. სხვათა შორის, სკანდინავიელი პირველად გავიდა ასე შორს ავსტრალიის ღია პირველობაზე. შესამჩნევად შეთხელდა მეორე წრის შემდეგ რუსების წარმომადგენლობა ქალების ბადეში. ყველაზე მოულოდნელი იყო ალისა კლეიბანოვას წაგება 2008 წელს იუნორთა როლან გაროსის ჩემპიონ სიმონა ჰალეპთან. ეს ის გოგონაა, რომელმაც წარმატებული კარიერის დასაწყისში დასაბრუნებელი ოპერაცია ჩაიტარა. რუმინელმა სწორი ტაქტიკა აირჩია - ინიციატივა მეტოქეს დაუთმო და მის შეცდომებს დაელოდა. შეცდომა კი კლეიბანოვამ ძალიან ბევრი დაუშვა. რუსმა მხოლოდ მეორე სეტის ბოლოს დალაგა თამაში, როცა მატჩზე ჩანოდევის საბუალება არ მისცა რუმინელს, მაგრამ ტაი-ბრეიკზე ისევ უმატა შეცდომებს და შემოკლებული გეიმი 2:7 დათმო.

კლეიბანოვას გზას გაუდგა ანა ჩაკევიტაძე, რომელმაც ჩეხ პეტრა კვიტოვას ორი სეტი ჩააბარა - 3:6, 4:6. ბოლოს კი ბრძოლას გამოეთიშა მარია კირილენკო. პირველ ნრეში რომინა ოპრანდისთან ურთულესი მატჩის მოგების შემდეგ, რუსს გაუჭირდა ჩეხი ივეტ ბენეშოვასთვის წინააღმდეგობის გაწევა, მით უმეტეს, რომ კირილენკოს მეტოქემ აგრესიული და რაც მთავარია, თითქმის უშეცდომო თამაში აჩვენა. თუ პირველ პარტიამში მარია ასე თუ ისე იბრძოდა, მეორეში მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო - 1:6, 3:6.

რაც შეეხებათ ლიდერებს, კიმ კლაისტერსი მშვიდად გავიდა 1/16 ფინალ-



ნალბანდიანი ცუდად წავიდა

ში, სამაგიეროდ, ელენა იანკოვიჩმა შეწყვიტა წინსვლა, თუმცა სერბის წარუმატებელი თამაში უკვე აღარავის უკვირს. არადა, ელენასთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - პირველ სეტში 5:2 დაწინაურდა. მაგრამ ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად ჩინელი შუაი პენგის მხარეს გადავიდა. ჩინეთის ყოფილ პირველ ნომერს ორი სეტი ეყო მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის დასაბრუნებლად. „ვიგებდი და ყველაფერი ჩემს კონტროლქვეშ იყო. ძალიან კარგად ვთამაშობდი. მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეცდომა დაეუშვი, მეტოქემ კი პირიქით, თამაშს მოუმატა. ამას მოჰყვა ტაი-ბრეიკზე ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში შეცდომები. ჩემთვის ეს ცუდი დღე იყო. მაგრამ კარგია, რომ ჯანმრთელი ვარ. ეს დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. რეალურად შემიძლია კონკურენტის განევა. უნდა გავაგრძელო მუშაობა ძველი ფორმის დასაბრუნებლად, - ახელით კომენტარი გააკეთა იანკოვიჩმა.

II ნრე

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-რიაან სვიტინგი (აშშ) 6:2, 6:1, 6:1; ბერნარდ ტომიჩი (ავსტრალია) ფელისიანო ლოპესი (ესპ, 31) 7:6(4), 7:6(3), 6:3; ჯონ ისნერი (აშშ, 20)-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 4:6, 6:4, 6:2, 6:1; მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)-სანტიანო ხირალდო (კოლ) 6:3, 7:6(1), 6:1; მიხაილ იუჟნი (რუს, 10)-ბლაჟ კაუჩიჩი (სლოვენ) 6:3, 6:1, 5:7, 4:6, 6:1; მილოშ რაონიჩი (კან) მიკაელ ლოდრა (საფ, 22) 7:6(3), 6:3, 7:6(4); რიჩარდ ბერანკისი (ლიტ)-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 27) 6:1, 6:0, 2:0 უარი; დავიდ ფერერი

(ესპ, 7)-მაიკლ რასელი (აშშ) 6:0, 6:1, 7:5; რობინ სოდეგრენი (შვედ, 4)-თოდ მიულერი (ლუქ) 6:3, 7:6(1), 6:1; იან პერნიხი (ჩეხ)-ტომამ ბელუჩი (ბრა, 30) 6:2, 6:7(11), 6:4, 6:7(3), 8:6; ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:0, 3:6, 7:6(3); ჟოვილერი (იტა, 22)-ლუდვიგ ლომინგეს სეპი (იტა) 6:3, 7:6(1), 7:6(5); იურგენ მელცერი (ავსტრალია) 11)-პერე რიბა (ესპ) 6:2, 6:4, 6:2; მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 21)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:1, 6:3, 4:6, 6:3; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ, 32)-ედუარდო შენკი (არგ) 6:4, 7:6(8), 6:1; ენდი მიურეი (ბრიტ, 5)-ილია მარჩენკო (უკრ) 6:1, 6:3, 6:3.

ქალაქი

შუაი პენგი (ჩინ)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 7:6(3), 6:3; აიუმი მორიტა (იაპ)-კაროლინ გარსია (საფ) 6:4, 6:4; სიმონა ჰალეპი (რუმ)-ალისა კლეიბანოვა (რუს, 24) 6:4, 7:6(2); ანიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)-პეტრა მარტინი (ხორ) 6:3, 6:4; ნადია პეტროვა (რუს, 13)-ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:4, 6:1; ეკატერინა მაკაროვა (რუს)-ლესია ცურენკო (უკრ) 7:6(6), 6:1; ალიზ კორნე (საფ)-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 26) 7:5, 6:1; კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:1, 6:3; სამანტა სტოსური (ავსტრალია) 5)-ვერა დუშენკინა (რუს) 6:3, 6:2; პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25)-ანა ჩაკევიტაძე (რუს) 6:3, 6:4; ფლავია პენეტა (იტა, 22)-ლუდვიგ ლომინგეს სეპი (იტა) 6:2, 6:2; შაარ პეერი (ისრ, 10)-სორანა კირსტეა (რუმ) 6:3, 6:2; ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 18) 6:3, 6:1; ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31)-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:7(2), 7:5; ვერა ზონარევა (რუს, 2)-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 2:6, 6:3, 6:1.

გვერდი მომზადდა გია თვალაბიძის მიერ

სხელი ხაზი

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes matches like 'უზბუკეთი' (1:1), 'ამხანაგური მატჩები' (1:1), 'ზალცუბერგი-სპარტაკი' (1:1), 'ლინცერი-თუნი' (1:1), 'კავშირგარეუბნი-სერბები' (1:2), 'პაქინი-ვიკინგი' (3:2), 'ლას პალმასი-რუსიანოვები' (2:1), 'პალმასი-ბაის' (0:1).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'იტალიის თასი' (1/8 ფინალი) (3:0), 'უსაბანეთის თასი' (1/4 ფინალი II მატჩი) (0:1 (1:3)), 'პორტუგალია' (ლიგის თასი) (4:0), 'საბარბანეთის თასი' (1/4 ფინალი I მატჩი) (2:0).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სპორტინგი-პანაფილი' (4:0), 'საბარბანეთის თასი' (1/4 ფინალი I მატჩი) (2:0), 'კალათბურთი' (პეროლია) (71:76), 'უნიკსა-კსა ლავორალი' (81:71), 'ბარსელონა-მახაბი (თ-ა)' (63:64), 'რომა-ოლიმპი' (70:84), 'ოლიმპიკაოსი-ფინერბაჰი' (87:75).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სპორტინგი-პანაფილი' (4:0), 'საბარბანეთის თასი' (1/4 ფინალი I მატჩი) (2:0), 'კალათბურთი' (პეროლია) (71:76), 'უნიკსა-კსა ლავორალი' (81:71), 'ბარსელონა-მახაბი (თ-ა)' (63:64), 'რომა-ოლიმპი' (70:84), 'ოლიმპიკაოსი-ფინერბაჰი' (87:75).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სპორტინგი-პანაფილი' (4:0), 'საბარბანეთის თასი' (1/4 ფინალი I მატჩი) (2:0), 'კალათბურთი' (პეროლია) (71:76), 'უნიკსა-კსა ლავორალი' (81:71), 'ბარსელონა-მახაბი (თ-ა)' (63:64), 'რომა-ოლიმპი' (70:84), 'ოლიმპიკაოსი-ფინერბაჰი' (87:75).

TV პროგრამა

Table with 2 columns: Time and Program Name. Includes '21 იანვარი. პარასკევი' (23:25 გერმანიის ჩემპიონატი), 'EUROSPORT' (12:00 ჩოგბურთი), 'HTB-ალუსი (ფინანსები)' (12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი), 'HTB-ალუსი (სპორტი)' (12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი), 'HTB-ალუსი (ოქლაკი)' (12:00 ჩოგბურთი), 'HTB-ალუსი (კალათბურთი)' (04:30 NBA), 'HTB-ალუსი (როგბა)' (11:55 ჩოგბურთი).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'ბერგინა-ტუნისი' (36:26), 'ისლანდია-სლოვაკია' (29:22), 'დანი-სლოვაკია' (34:29), 'შვედეთი-აშორეთი' (24:21), 'სერბეთი-რუმინეთი' (28:38), 'საფრანგეთი-ესპანეთი' (28:28), 'უნგრეთი-ავსტრია' (32:30).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'უკრაინა' (3:4 (ბ)), 'სლოვაკია-სერბეთი' (3:2), 'გერმანია-რუმინეთი' (6:5 (ბ)), 'პრუსტინ-ბერლინი' (4:2), 'შინიკი-ლიბანისი' (1:6).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სლოვაკია-სერბეთი' (3:2 (ბ)), 'სლოვაკია-სერბეთი' (4:3 (ბ)), 'გერმანია-რუმინეთი' (6:2), 'რუმინეთი-საბარბანეთი' (1:5), 'პოლონეთი-საბარბანეთი' (3:2).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სლოვაკია-სერბეთი' (3:2), 'სლოვაკია-სერბეთი' (1:2 (ბ)), 'სლოვაკია-სერბეთი' (3:2), 'სლოვაკია-სერბეთი' (4:1), 'სლოვაკია-სერბეთი' (4:3), 'სლოვაკია-სერბეთი' (3:1).

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'სლოვაკია-სერბეთი' (1:3), 'სლოვაკია-სერბეთი' (3:5), 'სლოვაკია-სერბეთი' (4:0), 'სლოვაკია-სერბეთი' (1:0 (ბ)), 'სლოვაკია-სერბეთი' (4:2), 'სლოვაკია-სერბეთი' (3:4 (ბ)).

მოკი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'ვოროკო-კოლუმბია' (2:3 (ო)), 'გოლები: 1:0 ბუტი-14 (სანტორელი-13, კულიკოვი-10), 2:0 სტილმანი-5 (დვორაკი-9, კულიკოვი-11), 2:1 ტიუტინი-4, 2:2 ვერმეტი-10 (კლიტსომი-2, ტიუტინი-13), 2:3 უმბერგერი-17 (კლიტსომი-3, ნემი-20), 'კალაბრი-მინესოტა' (0:6), 'გოლები: 0:1 პავლატი-12 (ბროდიაკი-7, ზენონი-3), 0:2 მ. კოიუ-12 (კულიკოვი-19, ბრუნეტი-14), 0:3 მადენი-7 (ბრუნეტი-15, კობესიუ-3), 0:4 კლატერბეი-14 (პავლატი-30, ბროდიაკი-8), 0:5

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes 'კობესიუ-8 (მადენი-8, შტაუბიცი-3), 0:6 პავლატი-13 (კლატერბეი-7, ბროდიაკი-9), 'ჩინუპარსი-მორნო' (7:0), 'გოლები: 1:0 გაბორიკი-12 (მ. ეივერი-15, ანისიმოვი-13), 2:0 ბ. ბოლი-16 (მ. სტალი-12, გაბორიკი-14), 3:0 გაბორიკი-13 (ანისიმოვი-14, მ. ეივერი-16), 4:0 ფედოტენკო-9 (პრუსტი-12, მ. სტალი-13), 5:0 გაბორიკი-14 (მ. ეივერი-17, ანისიმოვი-15), 6:0 გაბორიკი-15 (ანისიმოვი-16, ვოლსკი-12), 7:0 ცუკარელო-3 (სტეპანი-15, ვოლსკი-13).



რედ ბულის პირველი ბოლიდი

# გზა ჩაპირონოვისკენ

დღევანდელ ნომერში კიდევ ერთხელ გავისინებთ 2010 წლის სეზონს, უფრო ზუსტად, გავეცნობით გასული წლის საუკეთესო გუნდის - „რედ ბულის“ შექმნისა და განვითარების ისტორიას.

ფორმულა 1-ის გუნდი „რედ ბული რეისინგი“ ენერჯეტიკული სასმელების მწარმოებელი კონცერნის შეფ დიტრიხ მატეშიტცს ეკუთვნის. გუნდის ბაზა ინგლისის ქალაქ მილტონ კეისნშია განთავსებული. ამასთან, საჯინბო მსოფლიოს ჩემპიონატში ავსტრიული ლიცენზიით გამოდის.

გუნდის წარმოშობის ისტორია 2004 წლიდან იწყება. სექტემბერში კომპანია „ფორდმა“ საჯაროდ გამოაცხადა, რომ წვევტს მონაწილეობას ფორმულა 1-ის სერიისა და ამის გამო გასაყიდად გამოაქვს საკუთარი გუნდი - „იაგუარ რეისინგი“. მაშინ ფორმულას სამყაროში ამ განწყობილებას ძალიან ნეგატიურად შეხვდნენ და ერთი პირობა დაფიქრდნენ, 2005 წელს წამყვან გუნდებს ტრასაზე სამ-სამი ბოლიდი გამოეყვანათ, რათა ჩემპიონატის ჩასატარებლად მონაწილეთა საჭირო რაოდენობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. მაგრამ ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა საჭირო არ გახდა. ძალიან მალე „იაგუარს“ მყიდველი გამოუჩნდა - კომპანია „რედ ბულის“ მფლობელი, ავსტრიელი მილიარდერი დიტრიხ მატეშიტცი. ბიზნესმენისთვის ეს არ ყოფილა დებიუტი ფორმულა 1-ში - მისი კომპანია მრავალი წელი „ზაუბერის“ ერთ-ერთი სპონსორი იყო. ერთი პირობა ჭორიც დადიოდა იმის შესახებ, რომ მატეშიტცს პეტერ ზაუბერის გუნდის შექმნა სურდა, მაგრამ ვარიანტი არ შედგა. ავსტრიელმა ოცნება მაინც განახორციელა - 2004 წელს გაჩნდა მოქმედი გუნდის შე-

ქმნის საშუალება და მატეშიტცმა ეს პანსი ხელიდან არ გაუშვა.

„რედ ბულმა“ 2004 წლის 15 ნოემბერს, 2005 წლის სეზონისთვის განაცხადების წარდგენის ბოლო დღეს დაადასტურა ეს ვარიანტი. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი წერდა, რომ „ფორდმა“ თავისი გუნდი სიმბოლურ ფასად - ერთ დოლარად გაყიდა, სანაცვლოდ კი ახალმა მფლობელებმა მომდევნო სამი წლის განმავლობაში გუნდში 400 მილიონი დოლარის ინვესტიციის დაბანდების ვალდებულება აიღეს.

„რედ ბული რეისინგის“ ხელმძღვანელად დანიშნეს ამბიციური კრისტიან პორნერი, რომელმაც რანგით დაბალ სარბოლო სერეებში მიღწეული წარმატებებით გაითქვა სახელი. ტექნიკური დირექტორი და ბოლიდების მთავარი კონსტრუქტორი ედრიან ნიუი გახდა. ამ გუნდის მიერ სხვადასხვა გუნდში შექმნილმა მანქანებმა ჯამში 109 რბოლა მოიგეს. სწორედ ნიუი იყო „უილიამსისა“ და „მაკლარენის“ ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. ასევე ძლიერი იყო პილოტების შემადგენლობა - „მაკლარენიდან“ გადაიყვანეს დევიდ კულტჰარდი, რომელსაც ორი მენეჯილი უყავდა - კრისტიან კლინი და ვიტანტონიო ლიუცი. თავიდან გამოცხადდა, რომ ისინი მორიგეობით მიუჯდებოდნენ მეორე ბოლიდის საქვს, მაგრამ საბოლოოდ, ლიუციმ 2005 წელს მხოლოდ ოთხი რბოლა ჩაატარა.

თავიდან გუნდმა „კოსუორტის“ ძრავების გამოყენება გადაწყვიტა, რადგან ცოტა დრო რჩებოდა სხვა ვარიანტის მოსაძებნად, მომდევნო სეზონისთვის კი „ფერარის“ ძრავების გამოყენებაზე კონტრაქტს მოეწერა ხელი. ასე გამოჩნდა 2005 წლის ჩემპიონატში ახალი გუნდი - „რედ ბული“.

## 2005

პირველ წელს „რედ ბულმა“ უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე მისმა წინამორბედმა - „იაგუარმა“. დიდი ხანი გუნდი მეექვსე იყო კონსტრუქტორთა დავაში, მაგრამ ბოლოს ეს პოზიცია ბარ-ს დაუთმო. სადებიუტო სეზონში გუნდმა უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე „იაგუარმა“ 2003 და 2004 წლებში ერთად. სამმა პილოტმა ჯამში 34 ქულა დააგროვა: კულტჰარდი - 24, კლინი - 9, ლიუცი - 1. „რედ ბული“ რეგულარულად აგროვებდა ქულებს და ხშირად პოდიუმის კანდიდატიც იყო.

## 2006

„რედ ბული“ „ფერარის“ ძრავებზე გადავიდა. გუნდმა სეზონის სტარტი აშკარად ჩააგდო, მაგრამ რამდენიმე წარუმატებელი რბოლის შემდეგ მონაკოში კულტჰარდმა მესამე ადგილი დაიკავა და გუნდს არსებობის ისტორიაში პირველი პოდიუმი მოუტანა.

ავსტრიელმა სეზონი ისევ მეშვიდე ადგილზე დაასრულეს ჯამური 16 ქულით. აქედან 14 ქულა კულტჰარდს ეკუთვნოდა, 2 - კლინს.

## 2007

ამ სეზონში კულტჰარდის პარტნიორი გახდა ავსტრალიელი მარკ უებერი, გუნდი კი „რენოს“ ძრავებზე გადავიდა.

ამ ჩემპიონატში „რედ ბულს“ კვლავ ერთი პოდიუმი ჰქონდა - ევროპის გრან-პრიზე მესამე ადგილი უებერმა დაიკავა. საერთო გუნდურმა მონაგარმა 24 ქულა შეადგინა, რისი წყალობითაც მატეშიტცის საჯინბომ შარშანდელთან შედარებით ორი საფეხურით წინა წინ კონსტრუქტორთა თასზე და მესუთე პოზიციაზე აღმოჩნდა.

## 2008

„რედ ბულმა“ შეინარჩუნა პილოტთა შემადგენლობა და შედეგაც თითქმის იგივე აჩვენა, რაც წინა სეზონში - ხუთით მეტი ქულა დააგროვა, ერთხელ ავიდა პოდიუმზე (კულტჰარდი, კანადა) და ორი ადგილით ჩამოქვეითდა კონსტრუქტორთა თასზე.

სეზონის შემდეგ კულტჰარდმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა და მისი ადგილი სებასტიან ფეტელმა დაიკავა.

## 2009

„რედ ბულისთვის“ ეს იყო ნამდვილი პროგრესის წელი. ჩინეთის გრან-პრიზე გუნდს ისტორიაში პირველი პოული ფეტელმა მოუტანა, მეორე დღეს კი ნეიმინი რბოლაში გერმანელმა ეტაპი მოიგო, რაც ასევე პირველი წარმატება იყო „რედ ბულის“ არსებობის ისტორიაში.

სეზონის 17 რბოლიდან 16-ში „რედ ბულმა“ პოდიუმი მოიპოვა, ხუთჯერ მოიგო პოული და ექვსჯერ რბოლა. ამან გუნდს 153 ქულა და კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილი მოუტანა.

## 2010

გუნდმა შემადგენლობაში დატოვა მარკ უებერი და სებასტიან ფეტელი, აგრეთვე გააგრძელა კონტრაქტი „რენოსთან“ ძრავების მონაწილეობაზე.

ახალი მანქანა - რბოლაზე სწრაფი აღმოჩნდა ისტორიაში. საერთო აღიარებით, ედრიან ნიუიმ 2010 წლის საუკეთესო ბოლიდი შექმნა. მაგრამ „რედ ბულმა“ ძალიან ბევრი ქულა გაანავა ტექნიკური და ტაქტიკური შეცდომების გამო.

სეზონის მსვლელობისას იყო კონფლიქტი პილოტებს შორის (ავარია თურქეთში), წინა ანტიფრთხასთან დაკავშირებული სკანდალი (ბრიტანეთის

გრან-პრი), როცა უებერის მანქანიდან ახალი დეტალი მოხსნეს და ფეტელის ბოლიდზე დააყენეს...

მიუხედავად ამისა, თითქმის მთელი სეზონი უებერი უსწრებდა პარტნიორს და აბუ დაბიმი ბოლო გრან-პრის წინ ფერნანდო ალონსოსთან („ფერარი“) ერთად ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. მაგრამ კვალიფიკაციაში უებერმა მხოლოდ მესუთე დრო აჩვენა და კონკურენტებზე უკან აღმოჩნდა. პოული ფეტელს ჰქონდა და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ტიტულისთვის ბრძოლაში. დრამატულ რბოლაში ალონსომ და უებერმა მეშვიდე და მერვე ადგილებს დაიკავეს, ახალგაზრდა გერმანელმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა პირად ჩათვალაში. ასევე პირველი იყო „რედ ბული“ კონსტრუქტორთა თასზე.

სეზონის 19 რბოლაში ავსტრიელთა ანგარიშზე 9 მოგება, 20 პოდიუმი, 15 პოული და 498 ქულა მოდიოდა.

სხვათა შორის, „რედ ბულს“ „უმცროსი ძმა“ ჰყავს, რომელსაც „ტორო როსო“ ჰქვია. ის 2006 წელს შეიქმნა, როცა დიტრიხ მატეშიტცმა „მინარდი“ შეიძინა. „ტორო როსო“ თავიდანვე „რედ ბულის“ „დუბლიორად“ მიიჩნეოდა და „უფროსი ძმის“ შასის იყენებდა. მაგრამ ახლა ეს პრაქტიკულად დამოუკიდებელი გუნდია, რომლის ბოლიდის შექმნაში „რედ ბულის“ სპეციალისტები პრაქტიკულად აღარ მონაწილეობენ.

საგულისხმო მომენტია ის, რომ „ტორო როსო“ უფრო ადრე მოასწრო გრან-პრის მოგება, ვიდრე „რედ ბულმა“. 2008 წელს გუნდს პირველი პოული და პირველი გამარჯვება სებასტიან ფეტელმა მოუტანა. ეს ერთადერთი პოდიუმი გუნდის 4-წლიანი არსებობის ისტორიაში.

## ფორმულას ოლიმპიადა აფროზინას

როგორც ჩანს, თითქმის აღარ არსებობს იტალიის დედაქალაქ რომში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების შანსი. ქალაქის მერმა ჯანი ალემანომ გაზეთ „ლა რეპუბლიკას“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ რომი აპირებს მთლიანად გადაერთოს ახალ ფრონტზე საბრძოლველად, კერძოდ, იტალიის დედაქალაქს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს...

„ჩვენთვის ფორმულა 1-ს კენ მიმავალი გზა საბოლოოდ არ არის დახურული, მაგრამ ახლა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ, - განაცხადა ჯანი ალემანომ. - მაქსიმუმის ვაკეთებთ ვაპირებთ იმისთვის, რომ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე სახელმწიფოს მხარდაჭერა მივიღოთ. ეს საესებით რეალური გეგმაა.“

ჩვენ მუდმივი კონტრაქტი გვექონდა მონცას მერთან და ლომბარდიის რეგიონის სხვა წარმომადგენ-



ჯანი ალემანო

ლებთან. უნდა ვთქვა, რომ ნორმალური დიალოგი არასოდეს გამოვკვიდოდა, თუმცა არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ თუ მონცასა და რომს შორის დადგებოდა არჩევანი, ჩვენ უკან დავიხევდით...“

უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ ოფიციალურ განცხადებას რომის გრან-პრის მომავალზე.


## კიმი ფორმულას არ გამოირისხავს

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი კიმი რაიკონენი რალის მსოფლიოს ჩემპიონატში თავისი მეორე სეზონისთვის ემზადება, რომელიც 11-13 თებერვალს შვედეთში დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ფინელი ახალი მანქანის - Citroen DS3-ის საქვს მიუჯდება, თუმცა 2011 წლის სეზონში არა „სიტროენის“, არამედ საკუთარი გუნდის - ICE 1 Racing-ის ღირსებას დაიცავს. ამ საჯინბოს პილოტის პირადი სპონსორები აფინანსებენ. წელს რაიკონენი 13-ეტაპიანი ჩემპიონატის 10 რბოლაში აპირებს მონაწილეობას.

ამასთან კიმი არ გამოირიცხავს მომავალში ფორმულა 1-ში დაბრუნებას...

„შუუძლებელი არაფერია, მაგრამ რაც უფრო ვადის დრო, მით უფრო მძიმე იქნება იქ დაბრუნება, - აღნიშნა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა. - თუ მომენტურა, აუცილებლად დაებრუნდები, მაგრამ ახლა ამის სურვილი არ მაქვს.“

გვერდი მოაზარდა გა თვალაპირივით



კიმი რაიკონენი